ყოველთვიური ბეჭდური, „ელექტრონული“ ფორმით

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№28 (1054) 13 - 15 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2014 წელს 1.272 მილიონი დოლარი შეადგინა

ბიძინა ივანიშვილის ანალიტიკური თოქ-შოუს წამყვანის ექსკლუზიური ინტერვიუ



რატომ, რა პირობებით მიიწვიეს გადაცემაში არჩიღ გამზარდია და რა შემთხვევაში იტყვის უარს თანამშრომლობაზე

გვ. 3

მასწავლებლებს განათლების მიღების საშუალება მთელი ცხოვრების მანძილზე ექნებათ

გვ. 7

„აფხაზეთი არის საქართველოს ტერიტორია და იქაური მოსახლეობაც ჩვენი ზრუნვის საგანია“

გვ. 2

ეკა ფერაძის ქართული სამყარო უცხოეთში

გვ. 9

„თავს ემიგრანტად არ ვგრძნობ... სადაც უნდა ვიყო, ქართველი მხატვარი ვარ და ამით ვამაყობ“

თიბისი ბანკი TBC BANK

გვ. 5

თიბისი ბანკმა და მამუკა ხაზარაძემ „ასავალ-დასავალს“ სასამართლო პროცესი მოუგო

„34“-ის რეალური ისტორია

ღუდი „34“-ის პირველ სამ მყიდველს ქალაქში ძეგლი დაუდგეს!

გვ. 8

გამგებლები შსს-ს ანტიკორუფციულში დაიბარეს?!

რა საქმეებზე დაიწყო გამოძიება და რა ბედი ელის ნარმანიას!

გვ. 4

„აფხაზეთი არის საქართველოს ტერიტორია და იქაური მოსახლეობაც ჩვენი ზრუნვის საგანია“

რუსუდან ხავთასი

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს კახა კალაძესა და ოკუპირებული აფხაზეთის ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ე.წ. მინისტრს ვიქტორ ხილჩევსკის შორის შეხვედრა შედგა. მოლაპარაკებები გაიმართა ენგურჰესის დე ფაქტო აფხაზური ნაწილის ტერიტორიაზე. საქართველოს ოფიციალური ხელისუფლებიდან, კახა კალაძესთან ერთად, წარმოდგენილნი იყვნენ მისი მოადგილეები ილია ელოშვილი და მარიამ ვალიშვილი, ასევე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე სულხან ზუმბურიძე. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი აფხაზეთში განხორციელებულ ვიზიტზე გვესაუბრა და შეხვედრები შეაჯამა.

— პერიოდულად ვახორციელებთ ვიზიტს აფხაზეთში. ჩვენ შორის არის გარკვეული სამუშაო ფორმატი, რომელიც აფხაზეთთან წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ენგურჰესი ახორციელებს ინტენსიურ სამუშაოებს როგორც ოკუპირებულ, ისე არაოკუპირებულ ტერიტორიაზე. პრაქტიკულად, ახლახან დავიწყეთ სამუშაოების ახალი ფაზა, რომელიც ეხება ვარდნილის არხის რეაბილიტაციას. ეს არის მასშტაბური პროექტი. ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული ევროპის წამყვან ბანკებთან: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და ევროპის საინვესტიციო ბანკთან. რეალურად ამ პროექტის ფარგლებში დაიწყო სამუშაოების განხორციელება. ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად მიდის იქ სამუშაოები. ოკუპირებულ ტერიტორიაზე სპეციალურ ნებართვას ვაძლევთ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას, რათა სამუშაოები აწარმოოს. პრობლემები იყო არხის გამტარუნარიანობაში, მოშლილი იყო ინფრასტრუქტურა, გადმოდიოდა წყალი და, პრაქტიკულად, ხელს უშლიდა როგორც ენგურჰესის, ისე ვარდანჰესის ოპტიმიზირებულ მუშაობას, რადგან ეს ჰესები, პრაქტიკულად, ერთი წყლის რესურსზე ზის. ამასთანავე საინტერესოა ისიც, რომ აფხაზეთში ჩატარდა არჩევნები, ახალი დე ფაქტო ხელმძღვანელობა ჰყავთ. შეიცვალა მინისტრი. ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს იმ ენერგეტიკულ კომპანიასაც, რომელიც იქ ლოკალურად ოპერირებს ქსელს. შესაძლებლობა მოგვეცა, გაგვეცნო ახალი კადრები და არსებული კონტაქტები თუ კომუნიკაცია შეგვენარჩუნებინა. აღსანიშნავია, ერთი მნიშვნელოვანი ასპექტიც: დღესაც პრობლემებია და სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს გვირაბი, რომელიც ჯვრის წყალსაცავსა და ენგურჰესს აკავშირებს. ეს ერთ უხერხულობას ქმნის: გარკვეული პერიოდის განმავლობაში ენგურჰესი ვერ იმუშავებს. ვგეგმავთ, ეს პროცესი წყალუხვობის პერიოდს დაემთხვეს, რომ ალტერნატიული ენერგოწყაროს გამოყენების საშუალება გვქონდეს და დეფიციტი შესამჩნევი არ იყოს. ვფიქრობთ, სავარაუდოდ, 2017 წლისთვის დავიწყოთ ამ სამუშაოების დაგეგმვა და რეალურად განვახორციელოთ. ენგურჰესი გაჩერებული იქნება დაახლოებით თვენახევარი, ორი თვე. სწორედ ამ სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად დაიგეგმა ეს ვიზიტი. ეს პროექტები ერთ დღეში არ ხორციელდება. მოსაძიებელია თანხები და გასარკვევია, რა წყაროს საშუალებით მივიღებთ ამ პერიოდში ელექტროენერგიას.

— ამ ორი თვის განმავლობაში საქართველო რუსეთისგან შეიძენს ელექტროენერგიას?

— ამ სქემამ იმუშავა 2006 წელს, რადგან აფხაზეთს სხვა წყარო არ აქვს. თუ ენგურჰესი გაჩერდა, ელექტროენერგიას სხვაგვარად ვერ მივაწვდით. სწორედ ამ დეტალებზე სასაუბროდ ვიყავით. ეს არის გრძელვადიანი გეგმა და დეტალურად ამაში ვერ ჩავეძიებით. ასეთი შემთხვევის მონახაზი არსებობდა 8 წლის წინ და გვინდა, მისი გაუმჯობესებული ვარიანტი გავაკეთოთ. მთავარია ეს ელექტრომომარაგებას არ დაეტყოს, არ შეეხოს საქართველოს, მათ შორის არც აფხაზეთის მოსახლეობას. დაიგეგმება, რა ხარჯებთან გვექნება საქმე, რა რისკები არსებობს და ა.შ.

— პოლიტიკურად რთული პროცესების მიუხედავად, მიგაჩნიათ, რომ თანამშრომლობა შედგა?

— ამ მოვლენას პოლიტიკურ ჭრილში თუ განვიხილავთ, მოლაპარაკებები, წესით, ნორმალურად ვერ წარიმართებოდა, მაგრამ ენერგეტიკა, ძალიან ტექნიკური სფეროა. ეს ძალიან ვიწრო თანამშრომლობის ფორმატია, რომელსაც წლების განმავლობაში ვახორციელებდით. მთავრობას აქვს სურვილი, აფხაზეთის მოსახლეობა ელექტროენერგიის გარეშე არ დარჩეს. ფაქტია, მათ არ აქვთ ენერგიის სხვა წყარო. ერთადერთი სადგურია ენგურჰესი. ერთი პატარა სოხუმის ჰიდროელექტროსადგური იყო, რომელიც დღეს დანგრეულია და მის აღდგენას ვერ ახორციელებენ. აქედან გამომდინარე, გვაქვს ხედვა, როგორ უნდა განვავითაროთ ეს თანამშრომლობა. ბუნებრივია, პოლიტიკურ ასპექტებზე ვერ გავაკეთებთ აქცენტებს. არც შესაბამისი მანდატი გვაქვს, რომ ენერგეტიკოსებმა ეს თემა გააჟღერონ. რეალურად, აფხაზეთი არის საქართველოს ტერიტორია და იქ მცხოვრები მოსახლეობაც არის ჩვენი ზრუნვის საგანი.

— 2005 წელს რა ძირითადი სამუშაოები იგეგმება ენერგეტიკის სამინისტროში?

— მთავარია, იზრდება მოხმარება და უნდა მოხდეს ენერგიის შევსება. ყველა ჩვენი ინფრასტრუქტურული პროექტი ორიენტირებულია იმაზე, რომ ენერგეტიკული მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს როგორც ფიზიკური, ასევე ფინანსური კუთხით. მთავარია, გამრიცხველიანება დასრულდეს. გაზიფიცირება კი, უფრო ხანგრძლივი პროცესი იქნება.

მეორე საკითხია მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაცია. 2015 წელს ჩვენ ველოდებით რამოდენიმე ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებას. ყველაზე მნიშვნელოვანია დარიალის ჰიდროელექტროსადგური. ვფიქრობ, წლის ბოლოს, ის მზად იქნება. გარდა ამისა, გვაქვს სხვადასხვა საერთაშორისო ხასიათის პროექტები. 2015 წელს, პირველად, საქართველო ენერგეტიკული ქარტიის თავმჯდომარე ქვეყანაა. ნოემბერში ჩატარდება მაღალი დონის ენერგეტიკული კონფერენცია, ენერგეტიკის სფეროს წარმომადგენლები ჩამოვლენ. მათ შორის — ევროკავშირის ხელმძღვანელობა. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით საინტერესო ინიციატივები დაიგეგმება წლის განმავლობაში და საქართველო შეძლებს ღირსეულად ატაროს ეს სტატუსი. ყველაფერი ეს იმისთვის კეთდება, ელექტრო და გაზმომარაგების, ასევე ინვესტიციების პრობლემა არ იყოს. ყველა რეფორმა, რასაც ჩვენ ვატარებთ, მიმართულია ინვესტიციების მოზიდვაზე, მომსახურების ხარისხის გაზრდაზე. საბოლოოდ, ბევრი ფული იხარჯება, ბევრია დასაქმებული, ბევრი შემოსავალია და ყველა ბედნიერია. ეს არის ზოგადი გეგმა, რასაც ენერგეტიკის სამინისტრო მიყვება.

ვერსიანიუსი

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2014 წელს 1.272 მილიონი დოლარი შეადგინა

ოპონენტები ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ რეალურად ქვეყანა გაჩერებულია. ციფრები კი, სხვა რამეზე მეტყველებს. გავრცელებული ინფორმაციით, 2014 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოცულობით წინა წლის შედეგებს აშკარად აღემატება. სწორედ ამ თემაზე გააკეთა განცხადება მთავრობის სხდომის დაწყების წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და განმარტა, რომ: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წელს მილიარდ 272 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 39%-ით აღემატება 2013 წლის წინასწარ მონაცემებს. გამოიკვეთა სამი უმსხვილესი სექტორი, რომლის წილმა 2014 წელს 64% შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 343 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 27%-ია. მეორე ადგილზეა მშენებლობა 295 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე — გადამამუშავებელი მრეწველობა 174 მლნ აშშ დოლარით. წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წლის IV კვარტალში 349 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის IV კვარტლის წინასწარ მონაცემებს აღემატება 61%-ით.

ციფრები აშკარად შთამბეჭდავია და მთავარი ის არის, რომ ამ ციფრების უკან რეალური საქმე და უცხოელი ინვესტორები დგანან. ირაკლი ღარიბაშვილი:

„მინდა, დავარწმუნო ყველა, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა ქვეყანა გაუმკლავდეს პრობლემებს და რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს რეგიონში მიმდინარე რთულმა პერიოდმა. ეს ციფრები იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ რეგიონში არსებულ ურთულეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, რაც, პრაქტიკულად, შეეხო ყველას, მათ შორის საქართველოს. სწორედ ამ ფონზე არის განსაკუთრებით აღსანიშნავი ინვესტიციების შემოსვლის ზრდის ტენდენცია. ეს ნიშნავს, რომ იზრდება ნდობა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მთავრობის მიმართ“.

რა გამოდის? უცხოელები საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე უარს არ ამბობენ. თანაც, ეს ხდება იმ ფონზე, როცა საპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, საქართველოდან ინვესტორები და უცხოური ფირმები გარბიანო. ამ სტატისტიკის გამოქვეყნების შემდეგ, ოპონენტებმა ტაიმ-აუტი აიღეს, თუმცა თქმა არ უნდა, სამომავლოდ იგივეს იტყვიან. ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით კი: **„გასული წელი მართლაც პოზიტიური იყო, ზრდა, პრაქტიკულად, ყველა სექტორში დაფიქსირდა. ჩვენ გვაქვს კონტაქტი ბიზნესმენებთან, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული წელი იყო ყველაზე წარმატებული მათთვის, ყველაზე მეტად შემოსავლიანი წელი იყო, მაგრამ, მოდი, თვალი გავუსწოროთ იმ რეალობას, რომელიც დღეს მთლიანად რეგიონშია. ასევე ევროპა განიცდის კრიზისს. ჩვენ სწორი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ მოსახლეობას. ტელევიზიების დიდი ნაწილი ხელს უწყობს იმას, რომ განსხვავებულად წარმოაჩინოს რეალობა“.**

„ვერსიანიუსი“

შსს-მ თბილისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს, ძველი თბილისის სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1996 წელს დაბადებული, ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში მცხოვრები ლაშა ო. თბილისში ჩადენილი მკვლელობისთვის დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ავლაბარში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა მამინაცვალი – 1976 წელს დაბადებული ვახტანგ ჯ. და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ლაშა ო. მომხდარიდან რამდენიმე საათში ხარაგაულის რაიონში, სოფელ ხევში დააკავეს. მკვლელობის ჩადენის ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით).

„ვერსიანიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ბიძინა ივანიშვილის ანალიტიკური თოქ-შოუს წამყვანის ექსკლუზიური ინტერვიუ

რაზომ, რა პირობებით მიიწვიეს გადაცემაში არჩიდ გამზარდია და რა შემთხვევაში იტყვის უარს თანამშრომლობაზე

ბიძინა ივანიშვილის მიერ დაანონსებულ გადაცემას რამდენიმე თვეა მთელი საქართველო ელის. როგორც ცნობილია, ანალიტიკურ თოქ-შოუს „20/30“-ზე ახალგაზრდა ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია წაიყვანს, თუმცა, როგორც აცხადებს, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. მიაჩნია, რომ ხელისუფლების მეხოტბეთა რიგებში არც ყოფილა და არც გადაცემაზე მუშაობის შემთხვევაში იქნება. ამტკიცებს, ჩემს შემოსავალზე, ფინანსური თვალსაზრისით, შეთავაზება უარყოფითად აისახაო და რამდენიმე გულწრფელ განცხადებასაც აკეთებს ნაციონალებზე — „ვერსიას“ არჩილ გამზარდია ესაუბრება.

— გადაცემის პროდიუსერი დამიკავშირდა და შემომთავაზა წამყვანობა, მაგრამ ჯერ კონსულტაციები არ დასრულებულა. ჩვენთან ამბავს წინ ინფორმაცია უსწრებს ხოლმე, არადა, დაზუსტებით ვერც ვამბობ, რომ უკვე გადაცემის წამყვანი ვარ. გარკვეული სიახლე ისაა, რომ, თუ შევთანხმდით, მხოლოდ გადაცემის წამყვანი კი არა, მისი თანამონაწილეც ვიქნები, ანალიტიკოსის სტატუსით.

— გამოხმაურება არაერთგვაროვანია: ზოგი გიცნობდათ, ზოგი — არა, ზოგს მოსწონხართ, ზოგს — პირიქით. წამყვან ანალიტიკოსად მაინცდამაინც თქვენ რატომ აგირჩიეს?

— ნახევრადხუმრობით ვამბობ ხოლმე, ყველგან, ყოველთვის ადამიან-ავტონომიას მეძახიან. ურთიერთობა მხოლოდ ამ ფორმით შემიძლია. ბუნებრივია, წლების განმავლობაში, არაერთი პოლიტიკური შემოთავაზება მქონია, მათ შორის, პარტიულიც, თუმცა მე ჩემი ე.წ. ავტონომიურობისთვის გარანტიებს ვეძებდი და მსგავს შეთავაზებებს არ ვთანხმდებოდი. გარანტიები, ზოგადად, არ არსებობს, თუმცა, ახლა არავინ არაფერს მავალდებულებს და ნებისმიერ დროს შემიძლია, ამ შემოთავაზებაზეც უარი ვთქვა. როცა პირს, რომელიც ბოლო 4 წელია საშუალო ცნობადობით სარგებლობს, გადაცემის წაყვანას სთავაზობენ, ე.ი. მისი ტიპაჟი ცნობილია. როცა ვიღაც კრიტიკის ღირსად მიმაჩნია, ვაკრიტიკებ, როცა ვინმეს მხარდაჭერა მსურს, ასეც ვიქცევი — არ ვიზღუდები. ვფიქრობ, ჩემი ფიგურისადმი ინტერესის მიზეზიც ეს იყო და გადაცემაც ხალხთან რეალური დიალოგის გახსნაზეა ორიენტირებული. თორემ უამრავი ანალიტიკოსია, რომელიც ამ წინადადებას სიხარულით მიიღებდა და პარტაქტივისტივით მოიქცეოდა. შეთავაზებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდები, თუ ჩემი თავისუფლების ხარისხი მაქსიმუმი იქნება. ეს რომ ასე არ იყოს, ამ წინადადებას არ მივიღებ. არც ანაზღაურების კუთხით მაქვს რაიმე ინტერესი — პირდაპირ გეტყვით, ამ გადაცემაში ძალიან მოკრძალებული ანაზღაურება მაქვს, ზუსტად იმდენი, რამდენიც საუნივერსიტეტო და სხვა საქმიანობაში დავიკელი. ასე რომ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ჩემს ფინანსურ მდგომარეობაზე შეთავაზება დადებითად კი არა, უარყოფითად მოქმედებს. გარდა ამისა, რაღაც იმიჯი უკვე მაქვს, მხარეს არ წარმოვადგენ და ამას ძვირად მივაღწიე. ამ იმიჯის ეჭვქვეშ დასაყენებლად კი არავინ და არაფერი მიღირს. თუმცა საქართველოში ასე ხდება — გავაკრიტიკებ ნაციონალს, ე.ი. „ოცნებისტი“ ვარ, „ოცნებას“ გავაკრიტიკებ, ნაციონალი ვარ. ილიას უნივერსიტეტში რომ დავიწყე მუშაობა, ნაციონალს მეძახდნენ, ახლა თუ გადაცემას წავიყვან, „ოცნებისტს“ დამიძახებენ. სხვათა შორის, ილიას უნივერსიტეტში ისევ ვმუშაობ.

— იქნებ, სწორედ ამიტომ სურთ თქვენი პარტიული კონიუნქტურით შეზღუდვა, რომ კონკრეტულ პოლიტიკურ მხარედ არ მოიაზრებით, ან რატომ ფიქრობთ, თუ ივანიშვილი ალასანიასა და პრეზიდენტს განსხვავებული აზრის გამო აკრიტიკებდა, თქვენ გამონაკლისი იქნებით?

— ტრაგიკული რაა, ივანიშვილმა მომავალში გამაკრიტიკოს და მე ივანიშვილი? მის ერთ ფრაზას ვითვალისწინებ — ფავორიტები არ მყავსო. მეც ასე ვფიქრობ. დღეს ჩემთვის არ არსებობს ადამიანი, რომლის აზრი ჩემსაზე უპირატესი იქნება. თუ რამეზე ვერ შევთანხმდით, ჩემს გზაზე წავალ და ეგ იქნება. ვინ მაიძულებს, აზრი შევიცვალო?

— გაქვთ გარანტია, რომ არ გაიძულებენ?

— მაიძულებენ და წავალ. მაშინ კითხვა მიჩნდება — მე რატომ ამირჩიეს? უამრავი ჩემზე საინტერესო, პროფესიონალი, უკეთესი ვიზუალის მქონე და უფრო დამჯერე ექსპერტიც არსებობს. ამიტომ ვფიქრობ, ამოცანა ზუსტად ისაა, რომ ამ გადაცემაში ისეთი ადამიანი სჭირდებათ, ვისთანაც კამათი შეიძლება. შესაძლოა, ივანიშვილიც იყოს სტუმარი და მასთანაც ვიკამათო, რა არის ამაში განსაკუთრებული?! მუდმივად ერთ აზრზე ყოფნა პოსტსაბჭოური სინდრომია. აი, თიხას რომ მოზელ და გამოწვავ, მისგან სხვა ნაკეთობას ვერ მიიღებ, მაშინ უნდა დაამტვრიო. პირობითად, მეც ასეთი ნაკეთობა ვარ.

— იმედია, არ „დაგამტვრევენ“.

— არც ეგაა პრობლემა — ნაკვეთი მაქვს, წავალ, კარტოფილს მოვიყვან და გავყიდი ან ძროხას გავზრდი. მონასტერში რომ ვცხოვრობდი, ურჩ მორჩილს „ურჩილს“ მეძახდნენ ხუმრობით. ესაა ჩემი ბუნება.

— ამ თემებზე ივანიშვილთან გისაუბრიათ, შეხვედრიხართ?

— ძალიან ზომიერი, კონსტრუქციული ურთიერთობა გვაქვს. ზოგადად, ბევრ რამეზე გვისაუბრია, იცის ჩემი მოსაზრებები. ივანიშვილი არხის მფლობელი კია, მაგრამ მის განსაკუთრებულ როლს ამ გადაცემაში ვერ ვხედავ. ზედმეტი ჩარევა, სრულიად უაზრო და უადგილო მგონია.

— ზოგადად, ქვეყანაში რა როლი და სტატუსი აქვს დღეს ივანიშვილს და აზრი თუ შეიცვალეთ იმაზე, რომ ახლა იგი სადღაც შუაშია ჩრდილოვან მმართველსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელს შორის?

— ჩვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ ერთ ადამიანს ვთხოვთ, მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს და მერე, ყველას ნაცვლად, პასუხი აგოს. საჯარო სივრცე დღეს უფრო თავისუფალი გახდა და ახლა, თითქოს, მთელი საზოგადოება თავისუფლების მართვას სწავლობს. მგონია, ივანიშვილიც ფორმირების პროცესშია და საკუთარი თავის პოვნას ცდილობს. მესმის, უმრავლესობა ფიქრობს, ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს, თუმცა იგი პოლიტიკიდან არც არსად წასულა. პოლიტიკიდან წასვლა-მოსვლა პირობითია. სხვა თემაა, ვის რა როლი აქვს პოლიტიკურ პროცესში. ერთი მხრივ, ივანიშვილი ხელისუფალის სახით რომ დაბრუნდეს, მაშინ პირდაპირი პასუხისმგებელი პირი ის იქნება, გააღმერთებენ და თუ საზოგადოებას ვერ დააკმაყოფილებს, თავს „წააწყვეტენ“. მერე ახალი ლიდერი გამოჩნდება, რომელსაც ასევე გააღმერთებენ, მერე ისევ თავს წააწყვეტენ და ვიქნებით ასე, ერთი ადამიანის გაღმერთებაში. ჩემი აზრით, ზოგადად, ივანიშვილი გრძელვადიან პერსპექტივებს უფრო უყურებს, ვიდრე იმას, ხვალ რა იქნება. ხალხს კი დღევანდელი ვითარება უფრო აინტერესებს.

— ზუსტად ამას გეკითხებით, რაკი ყველამ ვიცით, რომ გადაწყვეტილებებს მაინც ივანიშვილი იღებს, მაგრამ პასუხს ვერ ვთხოვთ, ეს ჩრდილოვანი მმართველობა არაა?

— ანალიტიკოსი ვარ და, თუ ოფიციალური მოცემულობა მაქვს, დასკვნებს მაშინ ვაკეთებ, თუ არადა, მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შემიძლია. ამიტომ კულუარებზე მსჯელობა ძალიან ძნელია. ადრე ვამბობდი, რომ მარგველაშვილისა და ალასანიას მისი ორბიტიდან გასვლა ივანიშვილის თამაშის ნაწილია, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ასე რომ ვარაუდი ძნელია, მით უმეტეს, ივანიშვილის კაბინეტში 24 საათი ნამდვილად არ ვზივარ.

— 21 მარტის აქციაზე რას ფიქრობთ და საინტერესოა, ეს გადაცემა ამ თარიღამდე გავა თუ არა?

— 21 მარტთან დაკავშირებით 15 ნოემბერი მახსენდება. ეს ჩვეულებრივი პარტაქტივისტური შეკრება იყო და ნაციონალური მოძრაობა საკუთარი თავის პრომოუშენს აკეთებდა. მაშინ აფხაზეთის, საგარეო კურსის თემატიკით ხალხი შეიტყუეს, თუმცა მაინც გამოჩნდა, რომ პარტიული შეკრება იყო. ახლა თამასა აწეულია და მესიჯი ასეთია — შემომიერთდი, თუ თავს მოტყუებულად გრძნობ. ნაციონალები ახლაც იგივეს ცდილობენ. თუმცა ვერ გათვალეს, რომ ხალხს ის ძალა ეძახის, რომლისგანაც არანაკლები ტყუილი ახსოვს. მთავრობაზე უკმაყოფილო კი ნაცმოძრაობის მხარდამჭერს არ ნიშნავს და — პირიქით.

— შესაბამისად, არანაირ კატაკლიზმებს არც ამ აქციაზე და არც მის მერე არ ელით.

— იმედი მაქვს და აგიხსნით, ამას რატომ ვამბობ: მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა ბევრად აგრესიული და დესტრუქციული გახდა ოპოზიციაში ყოფნისას, ვიდრე ხელისუფლებაში იყო, მაინც იმედი მაქვს, როგორც ხელისუფლება გადააბარეს მშვიდად, მათ ამ ახლანდელ აგრესიასაც რაღაც საზღვრები გააჩნია და ქვეყანას დასანგრევად არ განირავენ. გადაცემა 21 მარტამდე გავა თუ არა, არ ვიცი. მართალი გითხრათ, როცა ნაციონალები ოპოზიციაში წავიდნენ, ამ ძალის იმედი მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ვაკრიტიკებდი, მენტალურად, საკმაოდ ახლოს ვიყავი. მინდოდა, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებიდან წასულიყო, ხალხს მათთვის შემოელაწუნებინა და ეთქვა, წადი, დაფიქრდი, როგორ გაუტიეო. მეგონა, როცა ოპოზიციაში გადავიდოდნენ, დაფიქრდებოდნენ, დაღვინდებოდნენ, შეცდომებს აღიარებდნენ და მერე, როცა ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი გაუჩნდებოდათ, ბევრად სასურველი ძალა იქნებოდა ხალხისთვის. თუმცა პრობლემა ისაა, რომ ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაში არასასურველი და საშიში ხდება ქვეყნისა და საზოგადოებისთვის. ამიტომ, შეიძლება ითქვას, იმედი გამიცრუეს. ოპოზიციაში ყოფნა რებრენდინგისთვის ვერ გამოიყენეს და მართალი გითხრათ, თუკი ნაციონალები რაღაცას მიხვდებოდნენ და ზედმეტ დიქტატსა და ტერორს მოიშორებდნენ, ზოგადად, ჩემს თავს მათ აქტიურ გულშემატკივრად და პარტტანამშრომლადაც მოვიაზრებდი. თუმცა, სამწუხაროდ, ოპოზიციაში სულ სხვა ნაციონალური მოძრაობა მივიღეთ, რაზეც გული მწყდება.

— იმედია, თქვენი გულახდილობა ივანიშვილის გადაცემაში თანამშრომლობას ხელს არ შეუშლის.

— თუ შეუშლის, ყველა თავის გზაზე წავა.

გადასახადის გადამხდელები დავალიანებას აღარ გადაიხდიან

რა შემთხვევაში ჩამოაწერენ გადამხდელებს მიღიარდამდე ვალს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, 20 000-ზე მეტ გადასახადის გადამხდელს 1 მილიარდ ლარზე მეტი დავალიანება ჩამოეწერება. შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ხატია მოისწრაფიშვილის განმარტებით, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა იმ ცვლილებების მიხედვით ხორციელდება, რომელიც საგადასახადო კოდექსში 2014 წლის 12 დეკემბერს შევიდა.

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, 20 000-ზე მეტი გადასახადის გადამხდელი საგადასახადო დავალიანებას აღარ გადაიხდის და ბიზნესსაქმიანობის სუფთა ფურცლიდან დაიწყებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა და ჩამოწერას დაექვემდებარა: **„2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამავე ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება; 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ და აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი, ასევე 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება; საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული, ან დარიცხული და ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა“.**

ხატია მოისწრაფიშვილის განცხადებით, წინასწარი გაანგარიშებით, ჩამოსაწერი თანხა დაახლოებით, 1 მილიარდი ლარია. მისი თქმით, 11 მარტის მდგომარეობით, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე მიხედვით, 3 612 გადასახადის გადამხდელს უკვე ჩამოეწერა 334 315 514 ლარის საგადასახადო დავალიანება:

„აღნიშნული ცვლილების მიზანია ბიზნესის ხელშეწყობა და სტიმულირება. ამ ცვლილების შედეგად, იმ გადამხდელებს, რომლებსაც წლების განმავლობაში დაგროვილი აქვთ დავალიანება და ვერ აგრძელებენ საქმიანობას, ეძლევათ შანსი, რათა სუფთა ფურცლიდან დაიწყონ ბიზნესაქტივობა საკუთარი ოჯახებისა და ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად“.

მისივე განმარტებით, შემოსავლების სამსახური საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ახორციელებს, როგორც საკუთარი ინიციატივით, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს გულისხმობს, ასევე გადამხდელის მომართვის შემთხვევაშიც.

გამგებლები შსს-ს ანტიკორუფციულში დაიბარეს?!

ეკა სეხნიაშვილი
599-53-56-06

კომპეტენტური წყაროები ირწმუნებიან, რომ მალე გამგებლებს, მერებს და საკრებულოს თავმჯდომარეებს სისხლის სამართლის საქმეებს აღუძრავენ, დიდი ნაწილი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით პოსტებს დაემშვიდობება, ხოლო დიდ ნაწილსაც, არც მეტი — არც ნაკლები, კორუფციაში დაადანაშაულებენ. მანქანები, ტენდერები, შესყიდვები ახლობლების ფირმებთან და კანონდარღვევით დანიშვნები, კორუფციული ფაქტები ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რომლებითაც მაკონტროლებლები დაინტერესდებიან. ის, რომ მოქმედი ხელისუფლების მოქმედ მერებსა და გამგებლებს ძალიან ბევრი ნეპოტიზმის ფაქტები დაუგროვდა, რომ საბიუჯეტო თანხები ცოლების, სიმამრების, ძმებისა და ბიძაშვილების ე.წ. პადსტავნოი ფირმებში იქაჩება და ტენდერებიც ერთ პირთან მოლაპარაკების წესით, უპრობლემოდ ფორმდება მათთვის სასურველ კანდიდატებთან, „ქართული ოცნების“ დიდ თავისტკივილად იქცევა.

როგორც „ვერსიას“ აცნობეს, რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ დეპარტამენტში მუშაობა მიმდინარეობს და გამგებლების ნაწილი დაკითხვაზე დაიბარეს კიდეც. ყველაზე მსხვილი ლუპით სწორედ თბილისის რაიონებს აკვირდებიან. ერთ-ერთი ინფორმაციით, შსს-ს ანტიკორუფციული დეპარტამენტი ჩუღურეთის რაიონში სატენდერო დოკუმენტაციის გაყალბების საქმით დაინტერესდა და მათ შორის, კორუფციული ფაქტების შესახებ გამოჟონილი ინფორმაციის გადამოწმებაზე მუშაობს. საქმე, წყაროს ინფორმაციით, ძვირადღირებული სამშენებლო მასალების შეძენას ეხება და ეს ფაქტი, ჯერჯერობით, სააშკარაოზე არ გამოდის. თავად ჩუღურეთის გამგებელს ამ და სხვა ფაქტებზე ჩვენთან საუბარი არ სურს და დემონსტრაციულად გვითიშავს ტელეფონს. თუმცა გამორიცხული არაა, ქალაქის მერს კიდევ ერთი გამგებელი „ფუკასავით“ ააცალონ, მას მერე, რაც ჯოკია ბოდოკია ასე, საჯაროდ „გატელევიზორდა“, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნარმანიას წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მასშტაბურ ფორმებს მიიღებს. მითუმეტეს, ქალაქის მერს, თავად ივანიშვილიც აღარ სწყალობს. რატომ და არის თუ არა ეს შიდაკულუარული ბრძოლები, დრო აჩვენებს. თუმცა ფრაზა — „ნარმანიამ ვერ ივარგა“, ყველაზე ხშირად სწორედ სახელისუფლებო პრივატული საუბრებიდან მოდის. ჩუღურეთის გამგებელიც მისი დანიშნულია. თავდაპირველად, გამგებელ ზურაბ ჩიკვილაძეს, ხელს არავინ ჰკიდებდა, ვიდრე მის მფარველად აღიარებული შსს-ს სუს-ის შეფი და მისი მოგვარე ჩიკვილაძე არ გაათავისუფლეს. არადა, ბატონი ჩიკვილაძე, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძისდროინდელი დიპლომატიიდან მოდიოდა, მხოლოდ სუს-ის ექსშეფის პროტეჟე არ ყოფილა. ჩიკვილაძეს მიხეილ ხუბუტიასთანაც აკავშირებენ. ხუბუტიას რეკომენდაცია იყო თუ არა საშვი გამგებლობისთვის, ჩვენი ინტერესის საგანი ნაკლებადაა. თუმცა ხუბუტიას მეგობარი გამგებელი, არ მგონია, ივანიშვილისთვის მისაღები ყოფილიყო. გადამწყვეტი ფაქტორი ნარმანიას ხელთ იყო. ქალაქის არჩეულ მერს საკადრო გადაწყვეტილებების მიმართულებით სრული კარტბლანში მისცეს. ამჯერად კი, საქმე ნარმანიას დასამალად და ჟურნალისტებისგან გასაქცევად აქვს. მეტიც, ერთ-ერთი ინფორმაციით, შიდა მოხმარებისთვის საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვების შედეგებმა თავად ივანიშვილიც კი გააოცა, იმდენად მინუსებში იყო წასული ნარმანიას რეიტინგი. დღეს რომ არჩევნები ყოფილიყო, მხარს ქალაქის მერს ძალიან მცირე პროცენტი დაუჭერდა. როგორც სახელისუფლებო წყაროებიდან ირკვევა, ნარმანია სერიოზულ აპათიაშია ჩავარდნილი, საჯარო გამოსვლები და თავის დაფიქსირება სურს, თუმცა ზემოდან მითითებები ცალსახად მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მუშაობს, ახლა ქალაქის მერი დისკრედიტირებული ფიგურა გამოდის, ვერ ივარგა და აჯობებს, ჩრდილში იდგესო — ასეთია ინსტრუქტაჟი. ამბობენ, ის პირებიც ქალაქის ბუტაფორიულ მერს გასაკონტროლებლად ჩაუსვეს უწყებაში, დაწყებული დიმიტრი ქუმსიშვილიდან მერიის ადმინისტრაციაში ანი მიროტაძის დის გადაყვანით დამთავრებულიო.

რა საქმეებზე დაიწყო გამოძიება და რა ბედი ელის ნარმანიას!

ნარმანიას წონა მხოლოდ საკრებულოს ოპოზიციაში კი არ დაუვარდა, რომელიც სასწრაფო წესით იბარებს ქალაქის თავს საკრებულოს საგანგებო სხდომაზე, არამედ მისსავე თანაგუნდელებში. საქმე კორუფციული დინებების მოჭარბების შესახებ ინფორმაციას ეხება და ნაკლებად ნეპოტიზმს. ანტიკორუფციული სააგენტოს ყურამდე ის ფაქტებიცაა მისული, 2014 წლის ნოემბრის რიცხვით დათარიღებული, რომელსაც ხელს მერის მოადგილე გ. სოლომონია აწერს, თბილისის გზების მოასფალტების სახელმწიფო შესყიდვებს ეხება და რომელიც, როგორც ამბობენ, ტენდერის გვერდისავლით, პირდაპირ გაფორმებული 4 კონტრაქტით განხორციელდა, ჯამური ღირებულებით 2 150 000 ლარი, საიდანაც კომპანიამ ავანსად უკვე მიიღო 1 071 000 ლარი. უკვე დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნული კომპანია, ვინც ქალაქის მოასფალტებისთვის გამოყოფილი დარჩენილი მილიონები უნდა მიიღოს, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატს ეკუთვნის. აღნიშნულ ფაქტს მოგვიანებითაც მივუბრუნდებით მეტი სიცხადისა და დეტალების დაზუსტების შემდგომ.

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს ინტერესის საგანი სამგორის გამგეობაში მიმდინარე სარევიზიო შემოწმებაცაა და ნეპოტიზმის ცალკეული შემთხვევებიც. მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორი“, თბილისის მერიაში, გამგეობებსა და სხვადასხვა თვითმმართველ ორგანოში ნეპოტიზმის ფაქტებზე რამდენჯერმე განცხადება უკვე გააკეთა და ნათესაური ნიშნით თანამდებობებზე დანიშნულთა კოჰორტაში მოხვედრილები იყვნენ: ვიცე-პრემიერ კახი კალაძის ცოლისძმა, ცოლის ბიძა ბესიკ ჭუმბურიძე, მეუღლის დეიდაშვილი ლუკა კანკავა საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილედ, პარლამენტის წევრ სოსო ჯაჭვლიანის ბიცოლა მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, საკრებულოს ყოფილი წევრის, ზაზა გაბუნიას ცოლისძმა და ა.შ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები „მედიატორმა“ ახლახან აღმოაჩინა, როდესაც გლდანის, ჩუღურეთისა და ისნის რაიონის გამგეობაში ტესტირებაში ჩაჭრილი თანამშრომლები, ცოლ-ქმარი და დედა-შვილი ისევ აგრძელებენ მუშაობას. ასევე „მედიატორის“ ინფორმაციით, ზაზა გაბუნიას ცოლისძმა გიორგი შავლაძე ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში ბინათმესაკუთრეთა სამსახურში მთავარ სპეციალისტად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მან თემურ წილოსანი შეცვალა, რომელსაც აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. გამგეობის ინფორმაციით, წილოსანმა ვერ გაიარა ატესტაცია, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, მან ატესტაციის პირველი ეტაპი — ტესტირება წარმატებით გაიარა და გასაუბრებაზე მიზანმიმართულად ჩაჭრესო. ამიტომაც შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს ინტერესის საგანი გამორიცხული არაა, არა მხოლოდ ფინანსური გადაცდომები, არამედ ისეთი ტიპის კანონდარღვევებიც გახდეს, როგორიც მაგალითად, ატესტაციაგაუვლელი ან ჩაჭრილი პერსონის საჯარო სამსახურში დატოვებაა. ჯერ კიდევ მოქმედი თანამშრომელი „ვერსიას“ დეტალურად მოუყვა, რა ხდება ამ მხრივ, გამგეობებში, ამჯერად ჩუღურეთის მაგალითზე, თუმცა ფაქტები სხვა გამგეობებზეც მრავლადაა:

„რიმა ბერაძე რომ გამოჩნდა „რუსთავი 2“-ზე გაბუნიას ეთერში, ძალიან აჟიტირებულად და „ქართული ოცნების“ უპირველეს დამცველად, მას რატომღაც ბიოგრაფიაში მითითებული არ აქვს, რომ ოზურგეთის რაიონის რაიკომის მესამე მდივანი იყო, მეტსახელიც ჰქონდა და იცნობენ, როგორც სიორიძეების კლანის წარმომადგენელს და რძალს. არც ის უთქვამს, რომ მისი მფარველი გახლავთ საკრებულოს სარევიზიო კომისიის უფროსი მალაღურაძე, რომელიც არჩილ გეგენავასა და ნაცების შტაბის აქტიური წევრი იყო, ხოლო თავად ქალბატონი რიმა (იგივე რამინა) საკმაოდ აგრესიული ნაცი იყო ჩუღურეთის რაიონში და პოლიტსაბჭოს წევრის, გიორგი რობაქიძის კოორდინატორი იყო, ჩუღურეთის ნაციონალურ მოძრაობაში ანდრო ალავიძის თავმჯდომარეობის პერიოდში.

იმის გამო, რომ რიმა ბერაძეს სურდა ერთ-ერთი უბნის თავმჯდომარეობა და არ დაინიშნა, განაწყენდა და გადავიდა „ოცნების“ რიგებში. რიმა ბერაძის კადრებითაა გადატენილი მთელი გამგეობა: ზურაბ ბაქანიძე-პარტიული ამხანაგი ფოთის რაიკომიდანაა, ასევე ყოფილი ნაცია, რიმას შტაბის წევრი, რომელზეც საუბარია, რომ ვერ გაიარა ატესტაციის საწყისი ეტაპები. ასევე რიმას ნათესავად ცნობილი ლადო გოქსაძე-გამგებლის მოადგილე. ბადრი გუმბარიძე-განყოფილების უფროსი, არის ინფორმაცია მისი საეჭვო წარსულის შესახებ. მედეა აზარაშვილი და გრიგოლ ზარქუა — „ოცნების“ შტაბის წევრები და ა.შ. შორს წაგვიყვანს, მათი ჩამოსვლა, რადგან ყველა კადრი არის ოცნების აქტივისტი ან რიმას საახლობლოდან. ეს მხოლოდ მცირედი ფაქტებია, უფრო მნიშვნელოვანი დარღვევები ხდება, მოგაწვდით ამ ფაქტებსაც და არ მიდის ეს ყველაფერი ივანიშვილის ყურამდე, ამიტომაც გაზეთში რომ წაიკითხავენ, იქნებ უფრო მეტად მიხედონ ხალხსა და გამგეობებს, რომლებიც გამგებლებისა და მათი ოჯახის წევრების პირად სამზარეულოდაა გადაქცეული“.

საკადრო ცვლილებების აჯაფსანდალი თბილისის მერიაში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თბილისის მერიაში სრული ქაოსი და აჯაფსანდალია, — ასე აფასებენ დედაქალაქის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები თბილისის მერის, დავით ნარმანიას ახალ საკადრო პოლიტიკას. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – თბილისის“ თავმჯდომარემ ირაკლი აბესაძემ, 11 მარტს, სპეციალური ბრიფინგი გამართა და „ქართული ოცნება“ ნეპოტიზმში ამხილა.

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — თბილისის“ თავმჯდომარის, **ირაკლი აბესაძის** განცხადებით, ყოფილი ვიცე-მერი ალექსანდრე მარგიშვილი, მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნა. მისი თქმით, შესაბამის ბრძანებას დავით ნარმანიამ ხელი უკვე მოაწერა. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი, რევაზ ჩახავა უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილედ ჩამოაქვეითეს. მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ კი თეა მიროტაძე დანიშნეს, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ანი მიროტაძის დაა: **„ყოფილი ვიცე-მერი ალექსანდრე მარგიშვილი, საკრებულოს წინაშე არც კი გამოსულა და არც იმ კითხვებზე უპასუხია, რაც ჩვენ, დეპუტატებს, მის მიმართ გვქონდა. ახლა ვიგებთ, რომ მარგიშვილი უკვე მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის დირექტორია. ჩანს, „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის ფარგლებში, მარგიშვილი 2 მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს, რასაც ხელფასებსა და ადმინისტრაციის ხარჯებს მოახმარს. რაც შეეხება მერიის ადმინისტრაციის ყოფილ უფროს რევაზ ჩახავას, ვიცოდით, იგი ამ თანამდებობიდან ოჯახური მდგომარეობის გამო, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა. ახლა ვხედავთ, რომ ჩახავა უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილედ ჩამოაქვეითეს და ჩნდება კითხვა, თუკი ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობას ვერ ართმევდა თავს, უსაფრთხოების სამსახურში რატომ გადაიყვანეს, ან რა გარანტიაა, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავს გაართმევს?“.**

ირაკლი აბესაძის თქმით, თბილისის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ თეა მიროტაძის დანიშვნა, ნეპოტიზმის კლასიკური შემთხვევაა. მით უმეტეს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ანი მიროტაძის და თანამდებობაზე კონკურსის გარეშე დაინიშნა: **„თბილისის მერიაში, საკადრო გადაადგილების მიღების მთავარი საფუძველი, მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრებთან ახლო ნათესაური კავშირია. ვიდრე დავით ნარმანია ასეთ საკადრო გადაწყვეტილებებს მიიღებს, საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით, საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს პასუხი უნდა გასცეს. ის ადამიანები, რომლებიც სამსახურიდან გათავისუფლდნენ იმ მოტივით, რომ ვერ ასრულებდნენ თავის მოვალეობებს, სხვა თანამდებობებზე ინიშნებიან“.**

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი **ანი მიროტაძე**, გამოეხმაურა თბილისის საკრებულოს ნაციონალ დეპუტატს. საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ანი მიროტაძე ირაკლი აბესაძეს ურჩევს, კარგად გაეცნოს მისი დის, თეა მიროტაძის CV-ს: **„ჩემი და, თეა მიროტაძე, მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ნამდვილად დაინიშნა, მაგრამ არა იმის გამო, რომ ჩემი დაა. პირიქით, ჩემი და რომ არის, ეს უფრო აზარალებს. ორი დღეა, ჩემი და მერიაში მივიდა, მაგრამ არაფერ შუაში ვარ. თეა მიროტაძეს, კონტროლის პალატაში (ახლა უკვე აუდიტის სახელმწიფო სამსახური), ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, 11-წლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს. ამის შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, ის კერძო სექტორში მუშაობდა. რაც შეეხება კონკურსს, ვადასტურებ, რომ თეას არც განაცხადი შეუტანია და არც გაუვლია კონკურსი. მას ვაკანტური თანამდებობა შესთავაზეს, დათანხმდა და რა თქმა უნდა, ყველა პროცედურას გაივლის, რაც საჭიროა“.**

კიდევ ერთი საკადრო გადაადგილება თბილისის მერიაში ახალი ვიცე-მერების კანდიდატურებს ეხება. ვიცე-მერის პოსტს ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი დაიკავებს, მეორე მოადგილე კი ირაკლი ლექვინაძე იქნება. ამასთან, მერიაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების თანახმად, მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტს პაატა ჯაჭვლიანი დაიკავებს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს კი გიორგი გურგენიძე უხელმძღვანელებს. ასევე, ვაკის რაიონის გამგებლის პოსტზე, დავით ნარმანიამ ლაშა აბაშიძის კანდიდატურა დაასახელა.

აღნიშნული ცვლილებები დასამტკიცებლად თბილისის საკრებულოს გადაეგზავნა.

დედაქალაქის მერი დარწმუნებულია, რომ დასახელებულ ადამიანებს, საკრებულოს ნდობის მოპოვება არ გაუჭირდებათ.

„ოცნების“ პრიორიტეტი და ლაიტმოტივი ნატო არ არის“

რა შემთხვევაში დატოვებს კოალიციას გოგი თოფაძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

გადეპუტატებული ბიზნესმენი გოგი თოფაძე საზოგადოების ყურადღების ცენტრში ამ რამდენიმე დღის წინ მოექცა, როცა „ოცნების“ კოალიციიდან პირველმა განაცხადა, პრეზიდენტს არ შევხვდებით, რადგან რიგგარეშე სხდომა შეუთანხმებლად დანიშნაო. ყურადღების ცენტრში მყოფმა კი, იმავე დღეს კიდევ უფრო საყურადღებო განცხადება გააკეთა, ნატო-ში შესვლა არ მინდა, მისგან ნახეირები ქვეყანა არ მინახავსო. მართალია, დეპუტატი ამას წლებია იმეორებს, მაგრამ დღეს მისი სტატუსი მხოლოდ ბიზნესმენი აღარ არის — როგორ ხსნის ხელისუფლების წარმომადგენელი ამ განცხადებას, რა შემთხვევაში დატოვებს მმართველ კოალიციას და რას ფიქრობს საკუთარი გუნდის საგარეო კურსზე — „ვერსიისთვის“ სკანდალურ განმარტებებს გოგი თოფაძე აკეთებს.

— ნატო-სკენ სწრაფვაზე უარისთქმა დასავლური კურსის უარყოფას არ ნიშნავს. ევროკავშირში რომ შევდივართ, ეს დასავლური კურსი არ არის? იმაზე უნდა ვისაუბროთ, რომ ევროკავშირმა, გარკვეულწილად, სადავო რეგულაციები შემოიტანა. მაგალითად, შევიმუშავეთ კანონი, რომ ისედაც მცირემიწიან საქართველოში მიწები არ უნდა იყიდებოდეს. ეს კანონი საკონსტიტუციო სასამართლომ დაგვიწუნა და მოვიდა ახალი რეგულაცია, სადაც არის „ხვრელები“, მაინც როგორაა შესაძლებელი ჩვენი მიწების გასხვისება. თანაც, ჩინეთს, ინდოეთს მიწის დეფიციტი აქვს. ევროკავშირში აღმოსავლეთ ევროპიდან ბევრი ქვეყანა შევიდა, მაგრამ ყველა საკმაოდ პრინციპულად იდგა და ევროკავშირს რაღაც რეგულაციებიც შეაცვლევინა.

— მთავრობა არ იყო, კანონპროექტი რომ შეიმუშავა, მიწები უცხოელებს არ მიყიდოთ, მაგრამ ფულს გადაგახდევინეთ და მიწებს ჩამოგართმევთ, თუ ვერ დაამუშავებთო?

— მიწის მეპატრონე თუ გახდები, უნდა დაამუშაო კიდეც და პროდუქცია შექმნა. თუმცა იმ მცირე პერიოდშიც კი, როცა ამ თემის დამუშავება დავიწყეთ, ძალიან ბევრი მიწა გაიყიდა. ეს ნიშნავს, რომ რაღაც დროის შემდეგ ჩვენი შვილებისთვის დასატოვებელი მიწები არ გვექნება. ამიტომ ჩვენთვის პრინციპული საკითხები უნდა დავაყენოთ.

— დააყენეთ, მერე?!

— მეც ამას ვამბობ და დასავლეთის ხელისკვრაზე სულაც არ ვლაპარაკობ. სწორედ ესაა დასავლური ორიენტაცია და არა სამხედრო ბლოკში შესვლა.

— რა საფრთხეებს ხედავთ ნატო-ში, რას ნიშნავს თქვენი ფრაზა, რომ ნატო-სგან ნახეირები ქვეყანა არ არსებობს?

— ნატო-ს ბიოგრაფიას რომ გადავხედოთ, მას დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. მშვენიერი სახელმწიფო, იუგოსლავია შუა ევროპაში გახლიჩეს, გააუბედურეს ერაყი, აღარაფერს ვამბობ ლიბიაზე, ეგვიპტეზე, სადაც ნატოს შევარდნის შემდეგ ვითარება ვერ დალაგდა. ესაა ნატოს პოლიტიკა. რაც უკრაინაში მოხდა, იმაზე უარესი საქართველოში მოხდება, თუ ამ გზას დავადგებით.

— აბა, ლიბიაში კადაფის ხელისუფლება მემკვიდრეობით უნდა გადასულიყო? ჩამოთვლილ ქვეყნებში, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ნატო-ს ჩარევა სურდა, ერაყში, სწორედ ახლა ამთავრებს წვრთნებს ნატო ადგილობრივ მეომრებთან ერთად, ისლამურ სამყაროზე გასალაშქრებლად.

— ლიბიაში ცხოვრების დონე ძალიან მაღალი იყო — პენსია 2 500 დოლარს აღწევდა. შეიძლება კადაფი, როგორც ყველა არაბულ ქვეყანაში, ერთპიროვნული მმართველი იყო, მაგრამ საფრანგეთის არჩევნებში სარკოზისაც დაეხმარა, ლიბია კი ერთ-ერთი მდიდარი, თვითმყოფადი ქვეყანა იყო. კადაფს რაც უქნეს, რომ გააუპატიურეს და დაანაწილეს, ეს ხალხმა გააკეთა თუ იმან, ვინც იმ დალაგებულ, მდიდარ ქვეყანაში ალიაქოთი ატეხა?

— მგონი, ამ ვითარებას ისე უყურებთ, როგორც ბიზნესმენი და არა პოლიტიკოსი.

— არა, ყველაფერს ისე ვუყურებ, როგორც ჯანსაღი პოლიტიკოსი. 17 წელია, ნატო-ს გავიძახით. აქედან, 10 წელი, ნაციონალების დროს, ნატოში შესვლა ქვეყნის მთავარი ლაიტმოტივი იყო. ვერ შევედით. ავღანეთში დაიხოცნენ ქართველები, ჩვენ კი მაინც არ მიგვიღეს. ეტყობა ყველა სტანდარტს ვერ ვაკმაყოფილებთ. ხან მაპი მოიგონეს, ხან რა და ახლა, რამდენიმე დღის წინ, განაცხადეს, 10 წელი ნატო-ზე ნურც იოცნებებთო. არ ვდგავართ ამ ნატო-ს გზაზე და რატომ ვატყუებთ ხალხს, არიქა, გვიღებენო?

— ადრე სააკაშვილი ატყუებდა ხალხს და ახლა „ოცნება“?

— ვინც ამაზე საუბრობს, რომ ნატო-ში გველოდებიან, ის ატყუებს.

> **არ მიგვიღებენ ნატო-ში და ამ საუბრებით, ტყუილად, ჩვენს ჩრდილოელ აგრესიულ მეზობელს ვაღიზიანებთ. „ოცნება“ არ გვატყუებს — „ოცნების“ პრიორიტეტი ნატო არ არის, არც ლაიტმოტივი.**

— გამოდის, ირაკლი ალასანია მართალი იყო, როცა ამბობდა, ქვეყნის კურსს საფრთხე ემუქრებაო?!

— დასავლური კურსი ევროკავშირში ასოცირებაა, ნატო კი სამხედრო ორგანიზაციაა.

— ნატო-ში დაცვის გარანტიებს ვერ ხედავთ ჩვენი ქვეყნისთვის?

— ნატო გარანტიაა? შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ საქართველოს შეუძლია ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს, იყოს დამოუკიდებელი და ნეიტრალური. მდებარეობის გამო ყველას ვჭირდებით. ნეიტრალიტეტს უნდა მივაღწიოთ და არც ნატო-ზე ვიყოთ მიბმული, არც რუსეთზე. წარმოვიდგინოთ ცუდი ვარიანტი: ნატო შემოვიდა საქართველოში, კავკასიის ქედზე დადგა ბალისტიკური რაკეტები და პირდაპირ კრემლს დაუმიზნა. მერე?

— ანუ, ნატო-ს ვჭირდებით რუსეთთან საომრად და თან არ გვიღებს სამხედრო ალიანსში?

— აბა, რა გამოდის! რატომ უნდოდა აქ ნატო-ს საწვრთნელი ცენტრის გაკეთება? ან საერთოდ, რატომ ხართ დარწმუნებული, რომ გაკეთდება? ალბათ, არავითარი ცენტრი აქ არ აშენდება — უნდა ვიფიქროთ, რას იზამს აგრესიული რუსეთი, თუ საქართველო ვიღაცის მხარეს დადგება. ჩვენ ჯერ დონეზე არ ვართ, ვიღაცის მხარეს დავდგეთ და რაღაც სამხედრო ბლოკებში შევიდეთ.

— იმ დონეზე ვართ, რომ ნეიტრალიტეტი შევინარჩუნოთ რუსეთთან, ისლამურ სამყაროსთან?

— არა, ჯერ არ ვართ, მაგრამ აქეთ უნდა წავიდეთ. იმასაც არავინ ამბობს, ნატო-ში 10 წლის მერე მიგიღებთო, ამიტომ ნუ ატყუებენ საზოგადოებას! ჩვენ არ ვართ ამის მომხრე, მე და ჩემი თანაგუნდელები.

— ახლა ვისი სახელით საუბრობთ?

> **კოალიციაშიც აზრის სხვადასხვაობაა ამ თემაზე, მაგრამ გუნდური თამაშის წესები არ უნდა დაირღვეს. რასაც კოალიცია გადაწყვეტს, ხელს არ შევუშლით. თუმცა მეეჭვება, „ოცნებამ“ გადაწყვიტოს, რომ ნატო ჩვენი გზაა. ამ შემთხვევაში, ჩვენ ან იძულებულნი ვიქნებით, ავყვეთ კოალიციას ან დავტოვოთ.**

ამაზე საუბარი გუშინ კი არა, 1998 წლიდან დავიწყეთ. ნატოში არც გვიღებენ და არც ჩვენ ვართ მზად ამისთვის.

— ევრაზიულ კავშირში შესასვლელად თუ ვართ მზად?

— მზად არც ამისთვის ვართ. თუმცა თუ იქ უფრო კარგი პირობები იქნება,

> **თუ მძლავრი ქვეყანა ვიქნებით და საკუთარ ინტერესებს დავიცავთ, შეიძლება, ევრაზიულ კავშირში სჯობდეს შესვლა, რადგან ექსპორტის მეტი საშუალება გვექნება.**

— მორალურად რამდენად გამართლებულია, ოკუპანტი ქვეყნის კავშირში შეხვიდე და მწვანილზე ევაჭრო?

— როგორ გგონიათ, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაში ნატო უფრო დაგვეხმარება თუ რუსეთი? ჩვენი წინაპრები რუსებს კი არ ეომებოდნენ, ეფერებოდნენ და ამიტომ გადავრჩით.

— მგონი, უფრო მაგიტომ დავიღუპეთ.

— 2008 წელს რაც მოხდა, ამან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ძალიან გაართულა. აქ სწორი ინფორმაცია არ ვრცელდება. აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებებსა და რუსეთის პოლიტიკური ლიდერების განცხადებებში ვხედავ, რომ დიალოგისთვის მზად არიან. რუსს მიტაცება გენში აქვს, არაფერს თმობს, ყველა ქვეყანასთან პრობლემები აქვს, მაგრამ ჩხუბითა და ომით არაფერი გამოვა.

— აკი, კარასინი-აბაშიძე პოლიტიკურ და ტერიტორიების დაბრუნების საკითხებზე არ საუბრობენო?

— ჰოდა, არასწორია ეს ინფორმაცია... რა თქმა უნდა, ამაზე საუბარს დაიწყებენ. მთავარია, დაიწყოს ურთიერთობა. 15 წელი რომ ერთმანეთს არ ვესაუბრებოდით, ამით რა მივიღეთ? რუსი აგრესორია, თუმცა ეკონომიკურად, მასთან ურთიერთობა ჩვენთვის მომგებიანია, მაგრამ არ მინდა, ყველაფერი ეკონომიკაზე ავაგო. გაგახსენებთ პუტინის წინასაახალწო განცხადებას — მზად ვართ, ხელი შეგიწყოთ აფხაზეთთან დიალოგშიო. ჰოდა, უნდა დავიწყოთ ეს დიალოგი. ეს ხომ მინიშნება იყო, თუ რამე გინდათ, ვილაპარაკოთ, ნუ გვლანძღავთ, ნუ გვემუქრებითო. ნატო კი მუქარაა! ძალიან გინდათ, ნატო-ს დადებით მხარეებზე ვისაუბროთ, მაგრამ ჩემი პოზიცია მაქვს. ბოლო წლებში რაც ჩვენს პლანეტაზე ხდება, ნატო-ს როლი ძალიან მიუღებელია.

— ჩვენ ვერც ნატო გვიშველის და ვერც რუსეთი, ვიდრე ასეთი მიზეზებით გადაიდება საპარლამენტო უმრავლესობისა და პრეზიდენტის შეხვედრები — რა მოხდა?

— აშკარად არაობიექტური და ოპოზიციურად განწყობილი ხართ. ძალიან მარტივი სიტუაცია იყო: ექვსივე ფრაქცია შევთანხმდით, რომ პრეზიდენტთან უნდა წავსულიყავით. პირიქით, გვინდოდა, სახელისფულო შტოებს შორის არსებული დაძაბულობა მოხსნილიყო. შეხვედრაზე შევთანხმდით და მეორე დღეს, 11 საათზე შევიკრიბეთ, რათა პირველზე პრეზიდენტთან წავსულიყავით. წინა საღამოს კი, პარლამენტის ხელმძღვანელობამ პრეზიდენტს სთხოვა, იქნებ, არ გამოაცხადოთ რიგგარეშე სხდომის თარიღი ჩვენთან შეხვედრამდეო, რადგან ახლა პარლამენტს ისედაც ძალიან დაძაბული თარიღი აქვს. თითქმის შეთანხმდნენ კიდეც, მაგრამ ამ საუბრიდან ერთ საათში, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რიგგარეშე სხდომა 13 მარტს იქნება. ჩვენი აზრით, ეს ზოგიერთი ფრაქციის ზეწოლით მოხდა.

— ალასანიას „თავისუფალი დემოკრატების“? ისინი სწორედ ამ დროს ხვდებოდნენ პრეზიდენტს.

— არ ვიცი, არ ვაბრალებ. დილას შევიკრიბეთ, ვიმსჯელეთ და რადგან პრეზიდენტმა ჩვენი აზრი არ გაითვალისწინა, ჩვენც უარი განვაცხადეთ მასთან შეხვედრაზე, მაგრამ იქვე ითქვა, რომ ერთ-ორ კვირაში შევხვდებით და კონსტრუქციული საუბარი გვექნება, რადგან ეს დაპირისპირება უნდა დასრულდეს.

— ამ შეხვედრის თემა სწორედ აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა იყო. ასე არაა?

— ასე იყო, მაგრამ როგორც გავარკვიეთ, ძალიან სერიოზული კამათი იქნებოდა ეკონომიკურ საკითხებზე. ეს კი შეიძლება ერთ კვირაშიც განვიხილოთ, აქ მთავარი ერთმანეთისთვის ანგარიშის გაწევა იყო. ასეთი სიჯიუტე კი მიუღებელია.

— რიგგარეშე სხდომის ჩაშლას აღარ აპირებს უმრავლესობა?

— არ ვიცი. ზოგადად, მიგვაჩნია, რომ ძალიან არ ღირს ეკონომიკური ბლოკის მინისტრებზე პედალირება. ეს აჟიტირება, ლარს რა დაემართაო, არ გვინდა. ამ საქმეს რიგგარეშე სხდომა უშველის, რადგან ეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესია.

თიბისი ბანკმა და მამუკა ხაზარაძემ „ასავალ-დასავალს“ სასამართლო პროცესი მოუგო

თბილისის საქალაქო სასამართლომ, თიბისი ბანკისა და მამუკა ხაზარაძის სარჩელი გაზეთ „ასავალ-დასავალის“ წინააღმდეგ, დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაზეთს მის მიერ გავრცელებული ცრუ და ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა დაევალა.

თიბისი ბანკისა და მამუკა ხაზარაძის ადვოკატის, **ზვიად კორძაძის** განცხადებით, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე უნდა გამოქვეყნდეს უარმყოფელი სტატიები, რომლებითაც მკითხველს ეცნობება, რომ სიცრუეა და სინამდვილეს არ შეესაბამება, მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციები თიბისი ბანკისა და მამუკა ხაზარაძის შესახებ.

„გაზეთის შესაბამის გვერდებზე უნდა გამოქვეყნდეს, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება, თითქოს მამუკა ხაზარაძემ და თიბისი ბანკმა, უკანონოდ მიისაკუთრა კომპანია „ელიტ ელექტრონიქსი“, თავისუფლების მოედანზე მდებარე „ცეკავშირის“ შენობა, კომპანია „ბორჯომის“ აქტივები და ცდილობს „გუდვილის“ გაკოტრებას; სინამდვილეს არ შეესაბამება ის, რომ მამუკა ხაზარაძე არბევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგებსა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, მერაბ კოსტავას; მამუკა ხაზარაძეს არანაირი კავშირი არ აქვს 2014 წლის 21 მარტს, სოფელ გორაში მომხდარ თვითმკვლელობასთან“, — აღნიშნა ზვიად კორძაძემ.

მისი თქმით, თიბისი ბანკი და მამუკა ხაზარაძე, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ საქალაქო სასამართლოს უარს, თანხის დაკისრების ნაწილში. ადვოკატის განცხადებით, ფაქტია, რომ სამომავლოდ, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მიერ, ცილისმწამებლური და ცრუ ინფორმაციის ტირაჟირების ერთადერთი პრევენცია, სწორედ მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებაა.

თიბისი ბანკმა და მამუკა ხაზარაძემ, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ წინააღმდეგ სარჩელი, თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2014 წლის თებერვალში შეიტანა. სარჩელის მიხედვით, ბიზნესმენმა პატივისა და ღირსების შელახვისთვის, 160 000 ლარის ოდენობით, ზიანის ანაზღაურება მოითხოვა, რომელიც თავისუფალი მედიის განვითარებას უნდა მოხმარებოდა.

მაია მიშელაძე

ქუთაისელი პატიმრის უცნაური საქმე

რატომ გაათავისუფლა „უგონშჩიკმა“ გაფაცებული ბიზნესმენი და როგორ გამოიგლოვეს ზონაზე 38 წლის ავთო

პატიმარი №0578

იყო დრო, როცა ქუთაისში, ერთ კორპუსში იმაზე მეტი „კანონიერი ქურდი“ ცხოვრობდა, ვიდრე რომელიმე დიდ ქალაქში. მეტიც, ქუთაისელი ქურდების რაოდენობა ჯამში იმაზე მეტი იყო, ვიდრე სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი ქურდებისა ერთად აღებული. ამას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე ჰქონდა. დადებითი ის, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით „პარადი“ ქართველ ქურდებს მიჰყავდათ (სადმე ხომ უნდა ვყოფილიყავით პირველები). უარყოფითი კი ის, რომ ქურდებს ქუთაისში საუკეთესო სახლები და გამორჩეული პატივისცემა ჰქონდათ, რაც იმის მასტიმულირებელი იყო, რომ ახალგაზრდებს იურისტობაზე, ეკონომისტობასა და კოსმონავტობაზე კი არა, სწორედ ქურდობაზე ეოცნებათ. მართალია, ასი მსურველიდან ბოლოში 2-3 გადიოდა, მაგრამ ეს სავსებით საკმარისი იყო. დანარჩენები კი...

„დედაჩემმა მთხოვა, შეეშვიო ქურდულ ცხოვრებას. ხომ იცით, კიბო აქვს და ცოტა ხანს მშვიდად ვიქნები ძმებო“, — ასეთი ახსნა-განმარტებით ბევრი კაიბიჭი გასულა ჩრდილში. მერე აღმოჩენილა, რომ დედას არც კიბო ჰქონდა, არც სხვა დაავადება. უბრალოდ, ქურდობის პერსპექტივის არმქონე კაცი ისვენებდა, სხვა საქმეს პოულობდა.

რუსთავის №17 ზონაზე ერთი ქუთაისელი იჯდა (არა, ქუთაისელი კი ბევრი იჯდა, მაგრამ ჩვენ იმ ერთზე მოგითხრობთ). ავთო 38 წლის იყო. ტანით ზორბა, ორმეტრიანი ვაჟკაცი, სულ იღიმოდა და საინტერესო ისტორიებსაც ჰყვებოდა.

„ახლა რომ აქ კაი ბიჭები არიან, ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ მასეთები რიონში რომ რიყის ქვები ყრია თეთრ ხიდთან, ისე ეყარნენ ქუჩაში და ყურადღებას არავინ აქცევდა. მერე, რომ მიხვდებოდნენ, ჩვენგან ქურდი კი არა, ქურდის შნირიც არ გამოვაო, კი მიდიოდნენ სახლში. ზოგს დედა სთხოვდა, ქუჩურ ცხოვრებას შეეშვიო და ზოგს კიდევ ბებია სიკვდილის წინ უბარებდა, ქურდობას დისტრიბუტორობა ჯობიაო. ჰო, დისტრიბუტორები და კონტროლიორები იყვნენ კაიბიჭები და ვიღაც რამეს რომ ეტყოდა, ტაქსისტებივით ამბობდნენ, სულ კონტროლიორი კი არ ვიყავი, ქუჩის აკადემიაც დამთავრებული მაქვსო. ნეტა მაგ აკადემიის რექტორი მანახა და თვალებში ჩამახედა, მეტი არ მინდა“, — სიცილით ამბობდა ხოლმე ავთო.

ქუთაისელი პატიმარ №0578-თან მეგობრობდა და თითქმის სულ ერთად იყვნენ. №0578 სახალისო ისტორიებს ხშირად აყოლებდა, ერთხელ კი მოულოდნელად ჰკითხა: „შენზე ამბობენ, ქურდობა უნდოდა, მერე გადაიფიქრა და სწორედ მაშინ გადაიფიქრა, როცა ამ ამბავს აგვარებდა და წინ ვერაფერი დაუდგებოდაო. შენ რაღა დაგემართა, ბებიამ გთხოვა შენც?!“

„არა, ბებია არც მახსოვს. ცოლი მოვიყვანე და შვილი რომ მეყოლა, ხელში რომ დავიჭირე ჩემი ნინო, სწორედ მაშინ ვიფიქრე, რომ მისი მომავლისთვის აჯობებდა ქურდი კი არა, მუშა მრქმეოდა. სულ პოლიციის მოლოდინი, სულ საქმე და დევნა არც იმას წაადგებოდა და არც ჩემს ცოლს. ქურდებთან ავედი და ვუთხარი, თქვენი ძმა ვიქნები ბოლომდე, მაგრამ ოჯახს უნდა მივხედო-მეთქი. ბედის ირონიით, იმ საღამოს დამიჭირეს, რაღაც საქმეები ამიკინძეს და ჯამში, 18 წელი მომარჭვეს. მერე გავასაჩივრე, ვიბრძოლე და 14 წელი დამიტოვეს. კი ვზივარ აგერ მეათე წელია. მეათე წელია გისოსებიდან ვხედავ ჩემს ნინოს, მაგრამ რომ გავალ, დამიჯერე, ფიზიკურად ვიმუშავებ და არაფერს მოვაკლებ. ხომ ხედავ, რა ჯანზე ვარ და მშენებლობაზე ბლოკის ზიდვას და რასტვორის მოზელას დიპლომი არ სჭირდება“, — გაიღიმა ავთომ.

„უდო-ზე არ ჩალიჩობ?! 4 წელი მაინც ბევრია და ეგებ რამე გამოვიდეს“, — ურჩია №0578-მა.

„რა ვიცი, ვილაცებს ვაწუხებ, მაგრამ ათი წელი ჩაკეტილში რომ ხარ, ცოტა ძნელია თავი გაახსენო. ერთი პატარა ბიჭი იყო, სიგარეტზე რომ ვაგზავნიდი, ერთი საათი აგვიანდებოდა, უბანში დადიოდა და ყველას უყვებოდა, ავთომ სიგარეტზე გამაგზავნაო. ეგ ბიჭი ახლა პოლიციაშია და რომ დავურეკე, იცი, რა მითხრა? კრიმინალებთან არ ვმეგობრობ და აღარ შემაწუხოო. გესმის შენ? კრიმინალებთანო და პირველად რომ წავიყვანე, წილი მივეცი, ლამის მუხლებზე დაეცა და სანთელი დამინთო, თავი უკვე კანონიერი ქურდი ეგონა. ასეა ძამია, იცვლება დრო და ხალხი“, — ისევ გაიღიმა ავთომ.

„მოდი, შენი ყველაზე უცნაური საქმე მომიყევი. სასაცილო კი არა, უცნაური“, — სთხოვა №0578-მა.

„უცნაურობის მეტი რა მქონია. რამდენიმე დღის წინ ვფიქრობდი, რა მაქვს გაფუჭებული და იცი, სამასზე მეტი საქმე გამოვიდა. ქურდობა, ბავშვობაში მანქანიდან მაგნიტოფონის და აკუმულატორის მოპარვა, ჯიბგირობა, მანქანის გატაცება... ერთხელ, ახალი წლის წინა დღეს, გარეთ გამოვედი. კაპიკი არ მიდევს ჯიბეში. რაღაც უნდა მოვიპარო, თორემ ახალ წელს მეზობლის სამზარეულოდან გამოსული სუნით მომიწევს გაძღომა. ვიარე, ვიწანწალე, მაგრამ არაფერი. ვერც ვიჯიბგირე, ვერც რამეს წავაწყდი. ქურდობა გამორიცხე მაგ დროს. ახალი წელია, ყველა სახლშია, ვინც სახლში არ არის, ძვირფასი ნივთები მეზობელთან გადამალული ან წაღებული აქვს, ჭიქებს და დანა-ჩანგალს კიდევ ცხოვრებაში არ გავკარებივარ. დავდივარ ასე, მშიერი და რას ვხედავ, ბაზრის წინ „მერსედესი“ გაჩერდა, გადმოვიდა ოთხი მუტრუკი, შევიდა ბაზარში და გასაღები მანქანაში ჩატოვა.

ეტყობათ, შავები არიან, მაგრამ ქუთაისელები აშკარად არ ჩანან. დავიკიდე ყველაფერი, დავჯექი მანქანაში, დავქოქე და გავუტიე საფიჩხიისკენ. იმას ვფიქრობდი, მანქანას საბურავებს დავხსნი, აკუმულატორს, მაგნიტოფონს და მივაგდებ სადმე-თქო, თორემ ვაზვრატზე ჩალიჩი რომ დამეწყო, ჩაერეოდნენ ქურდები, უფულოდ დაავაზვრატებდნენ და დავრჩებოდი ისე. არადა, ახალი წელია რა, 31 დეკემბერი ღამდება. გავაჩერე მოფარებულ ადგილას, გადმოვედი, გავხსენი ბაგაჟნიკი, კლუჩები რომ ამოვიღო და საბურავების მოხსნა დავიწყო და გული კინაღამ გამისკდა — ბაგაჟნიკში კაცია გაკოჭილი და პირაკრული. ვინ ხარ-მეთქი ვკითხე, ის კიდევ გაფითრებული მიყურებს. წყალი იდო მანქანაში, გადმოვიტანე, სახეზე მივასხი. ვინ ხარ-მეთქი, ვუყვირე და ღმუის. მერე მივხვდი, პირი რომ ჰქონდა აკრული. მოვხსენი სახვევი და მეუბნება, ოღონდ არ მომკლა და ჩემს წონა ფულს მოგცემო. რატომ უნდა მოგკლა-მეთქი და აქამდე სულ ნიღბებით იყავით, ახლა უნიღბოდ ხარო. ვაი, შენს ავთოს, შარში ვარ. ვინ ხარ-თქო და რუსთაველი ბიზნესმენი გამოდგა. ფული კი მაინტერესებს, მაგრამ რა გინდა რომ ქნა, ამ მანქანით რუსთავში წასვლა სმერტია, ამის აქ დატოვება — კიდევ უარესი. არაფერი აღარ მინდა, ლამისაა წავიყვანო მანქანა და საიდანაც გავწიე, ისევ იქ დავაყენო. ეს ჩემი ცოდვით სავსე დაფეთებული მიყურებს. უცებ, არ ვიცი საიდან და რატომ, დღემდე ვერ ვხსნი ამას, ვეკითხები, თოვლის ბაბუის არსებობის თუ გჯერა-მეთქი. არაო, თავი გააქნია. ჰოდა, დაიჯერე, მე ვარ შენი თოვლის ბაბუა-თქო. გავუხსენი ხელები, მივეცი მანქანის გასაღები ხელში და ვეუბნები, წადი ახლა რუსთავში და მალე თუ ივლი, ახალ წელს სახლში შეხვდები-თქო. ჯერ გაოცდა. მერე თქვა, ხომ არ მესვრიო. როცა დაიჯერა, მანქანაზე დაჯდა და ვუთხარი, ზაპასკას მაინც ავიღებ, ახალ წელს პურის ფული არ მაქვს-თქო. სახელი და გვარი მითხარიო და მაგას როგორ ვეტყოდი.

წავიდა ის კაცი, ჩავაბარე მე ის ზაპასკა და უკანა გზაზე ჯიბიდან ვიღაც გოიმს ცოტა ფული ამოვაცალე. მოკლედ, ქათმის ხორცი და საქონლის ხაშლამა მქონდა საახალწლოდ. მეორე დღეს ქუთაისი ფუტკრის სკას ჰგავდა, „მერსედესს“ ეძებდნენ რუსთაველი შავები და ქუთაისელი ქურდები. მეც დამიბარეს და მითხრეს, შენც მოჩხრიკე, ეგებ გაარკვიო რამეო. ვერავინ ვერაფერი გაარკვია და მეც დავივიწყე ეს ამბავი...

ორი წელი გავიდა მას შემდეგ. რუსთავში ვარ და ის კაცი გამახსენდა. ჯერ მაღაზია ვიკითხე, მერე მაღაზიაში მისამართი, მაგრამ დამიმალეს. საღამოს მოვა და ნახეო. დაველოდე საღამოს, მოვიდა ის ჩემი ცოდვით სავსე და გვერდით პოლიციის ფორმაში გამოწყობილი ბიჭი მოჰყვება. როგორი მისასვლელია? შევიდა მაღაზიაში, გარედან ვუყურებ, გამყიდველებმა რაღაც უთხრეს, მერე ერთ-ერთმა დამინახა და ანიშნა ჩემზე. იმ კაცმა პოლიციელს რაღაც უთხრა და ის გარეთ გამოვიდა. ნელი ნაბიჯით დავიწყე უკანსვლა. იმან ნაბიჯს აუჩქარა და გამომეკიდა. გავიქეცი და მივრბივართ ასე შუა რუსთავში. არადა, ქალაქი არ ვიცი, იქეთ ვეცი, აქეთ ვეცი და პოლიციის ეზოში შევვარდი. გარეთ რამდენიმე პოლიციელი იდგა და რომ დამინახეს, ჯერ გაუკვირდათ, მერე ისიც რომ შემოვარდა და დაიყვირა, დაიჭირეთო, ყველა ერთად დამედევნა. სადღა წავიდოდი, დამაგდეს დაბლა და ცემა დამიწყეს, თუმცა იმ ჩემმა პოლიციელმა ბოლო ხმაზე იღრიალა, არავინ შეეხოს, ჩემიაო. წამომაყენა ფეხზე და ღიმილით მითხრა, სამტროდ არ მოგდევ, ახლა ბორკილებს მოგხსნი და თუ კაცი ხარ, არ გაიქცეო. ისე ალალად გამიცინა, მართლა არ გავქცეულვარ. მომხსნა ბორკილი, იმ კაცის შვილი ვარო, მითხრა. ყველაფერი ვიცი და მადლობის სათქმელად მოგდევდი ამხელა გზაზე, აქ პოლიციის უფროსის მოადგილე ვარ, თუ რამე გაგიჭირდება, არ მოგერიდოსო. მერე სახლში წამიყვანა, იმ კაცმა თავი ვერ შეიკავა და ტირილი დაიწყო. ერთი კვირა არ გამომიშვეს სახლიდან, მამა არ გაუკეთებს შვილს, რაც იმან გამიკეთა. სასწავლებელში მოგაწყობო, მითხრა და უარი ვუთხარი. მერე სამსახური შემომთავაზა, იმაზეც უარი ვუთხარი. ბოლოს, როცა ქუთაისში მოვდიოდი, ეზოში ჩამიყვანა და ზუსტად ისეთი „მერსედესი“ დამახვედრა, რომლითაც მოიპარეს. იმ პოლიციელმა ნახევარ საათში გადმომიფორმა და წამოვედი „მერსედესით“ ქუთაისში. ეს იყო ყველაზე უცნაურიც და ყველაზე შედეგიანი საქმე“, — დაასრულა მოყოლა ავთომ.

* * *

ამ ამბიდან რვა თვის შემდეგ, ავთოს საკუთარ საკანში დენმა დაარტყა. როგორც ამბობენ, რადიოს რთავდა, შემთხვევით ხელი გაცვეთილ კაბელზე მოუხვდა და რადგან ზაფხული იყო და ფეხშიშველი იდგა, დენმა მომენტალურად მოკლა. პატიმარი №0578 მის თანასაკნელებს დაელაპარაკა, თუმცა ყველამ ერთი და იგივე თქვა და რაც მთავარია, იგივე გაიმეორა იმავე საკანში მყოფმა ავთოს ბავშვობის მეგობარმა, კლასელმა და ბავშვის ნათლიამ. ქუთაისელი ვაჟკაცი მთელმა ზონამ გამოიგლოვა...

ვერსიანიუსი

შსს-მ თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლის მიერ ძებნილი პირი დააკავა

თბილისისა და ანკარას ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროების თანამშრომლობის შედეგად, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლის მიერ ძებნილი, 1982 წელს დაბადებული, თურქეთის მოქალაქე ჯემალ ი. ქობულეთის რაიონში დააკავეს.

დაკავებული 2013 წლის 2 მაისიდან იძებნება ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისთვის. ჯემალ ი-ს თურქეთის რესპუბლიკის უნიეს რაიონული სისხლის სამართლის საქმეთა მძიმე დანაშაულის სასამართლოს მიერ მისჯილი აქვს 17 წლისა და 25 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ჯემალ ი-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციისთვის შესაბამისი პროცედურები მიმდინარეობს.

შსს-მ დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ირაკლი ბ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 5 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული 1,7345 გრ ნარკოტიკი 0,6734 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით დადგინდა, რომ დაკავებისას ირაკლი ბ. ჰეროინის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ევროპის საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი შალვა ენუქიძე ევროპის საბჭოს პოლიტიკურ მრჩეველთა დირექტორის მოადგილე დანიილ ხოშაბოს, პოლიტიკურ მრჩეველ მარსელ კაპის და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილეს, ალესანდრო სავარისს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში შექმნილ ვითარებას, ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ზოლში უსაფრთხოების კუთხით არსებულ სიტუაციას და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე მდგარ გამოწვევებს. ვიზიტისას ხაზი გაესვა სოფელ ერგნეთის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ეფექტურ ფუნქციონირებას და ამავე ფორმატის გალის შეხვედრების განახლების აუცილებლობას.

„ვერსიანიუსი“

მასწავლებლებს განათლების მიღების საშუალება მთელი ცხოვრების მანძილზე ექნებათ

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

საქართველოს განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, მოადგილეებსა და ექსპერტებთან ერთად პედაგოგებსა და დაინტერესებულ პირებს თბილისსა და რეგიონებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალ სქემას აცნობს. წინა კვირას მინისტრი გორსა და ახალციხეს სტუმრობდა, სადაც, სხვა დეტალებთან ერთად, განიხილეს, როგორი უნდა იყოს უმაღლესი განათლების საუნივერსიტეტო პროგრამა კვალიფიციური პედაგოგის გამოსაშვებად და ახალი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, როგორ უნდა შემოვიდეს ახალი კადრი პროფესიაში. ძირითადი აქცენტი გაკეთდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შემადგენელ იმ მნიშვნელოვან მიმართულებაზე, როგორიცაა — მასწავლებლის საუნივერსიტეტო მომზადება და ახალი საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამების ამოქმედება. ექსპერტთა მტკიცებით, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა ერთიანი სისტემაა, რომლის ამოქმედებით მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება გაუმჯობესდება და გაძლიერებულ და გადამზადებულ პედაგოგთა კორპუსს მივიღებთ. ახალი სქემის დეტალებს „ვერსიისთვის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, გიორგი შარვაშიძე განმარტავს.

— ბატონო გიორგი, განათლების სისტემაში რიგი პრობლემებია, ძირეული ცვლილებების გატარება ამიტომაც გახდა საჭირო?

— ზოგადად, განათლების ხარისხის კუთხით სიძნელეები არსებობს. სამწუხაროდ, ეს სკოლებსაც ეხება და უმაღლეს სასწავლებლებსაც. სასურველი იყო, მსგავსი რეფორმა, წლების წინ გატარებულიყო. სისტემა უკვე აწყობილი იქნებოდა, თუმცა რატომღაც ვერ მოიცალეს ამისთვის. დღეს, სისტემური ცვლილებები ტარდება. ამოსავალი წერტილი, ქვაკუთხედი კი, მთავარ კითხვებზე პასუხია — რატომ უნდა მოინდომოს ადამიანმა მასწავლებლობა? რა არის ის სამოტივაციო პაკეტი, რომელიც დახვდება ამ პროფესიის არჩევის შემდეგ?

— და დღეს ამ მთავარ კითხვებზე პასუხი როგორია?

— სამოტივაციო პაკეტი გულისხმობს ორ კომპონენტს: ფინანსური და კარიერული პერსპექტივა. ამ კომპონენტებით ნებისმიერი ადამიანი ინტერესდება პროფესიის არჩევისას. ჩვენ ლოგიკურად დავსვით კითხვა — სად არის წარმატების გასაღები? რა შეიძლება გავაკეთოთ, რომ გაუმჯობესდეს განათლების სისტემა. ცხადია, მსოფლიო გამოცდილებაც გავითვალისწინეთ. სხვათა შორის, საერთაშორისო დონეზე, წარმატებული განათლების რეფორმის მქონე ქვეყნები ბევრი არ არის. მეტიც, ხელზე ჩამოსათვლელია ის ქვეყნები, სადაც განათლების სისტემამ წარმატებული გზა გაიარა და დადებითი შედეგი მიიღო. ყველა შემთხვევაში, ფინეთი იქნება, სამხრეთ კორეა, ჩილე თუ ზელანდია, მთავარი საფიქრალი იყო, როგორ შეეყვანათ სისტემაში საუკეთესო კადრი.

— ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარების შემდეგ, ქართულ რეალობაში, როგორ შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ განათლების სისტემა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდეს და პროფესიაში უკვე საუკეთესო პედაგოგები შევიდნენ?

— პირველ რიგში უნდა მოწესრიგდეს სახელფასო პოლიტიკა. სახელმწიფომ უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება, მათ შორის ბიუჯეტითაც. არ უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს ვინც არის სისტემაში, ცუდია. დღეს სისტემაში ბევრი გამოცდილი და საუკეთესო მასწავლებელია, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც შემთხვევით მოხვდა ამ სფეროში და დარჩა. ყოველთვის ასე იყო. მეც მყავდა და ალბათ ნებისმიერ ადამიანს ეყოლებოდა ძალიან კარგი, საშუალო და არც ისე კარგი მასწავლებლები.

— რადგან სიტყვამ მოიტანა, სანამ ახალი კადრების შესახებ ვისაუბრებთ, სისტემაში უკვე არსებული პედაგოგების შესახებ მითხარით — ახალი სქემის მიხედვით, მათ რა გზის გავლა მოუწევთ და რა პერსპექტივებს სთავაზობს განათლების სამინისტრო?

— მათთვის იარსებებს გადამზადების სფერო. მასწავლებლებს ხელისუფლებამ, საზოგადოებამ, ყველამ უნდა შეუწყოს ხელი, შეძლონ კვალიფიკაციის ამაღლება. ამისთვის მოტივაცია უნდა გაჩნდეს. სწორედ ამ მიზნით, მუდმივ კავშირში იქნებიან მასწავლებლები უმაღლეს სასწავლებლებთან. მათ განათლების მიღების საშუალება მთელი ცხოვრების მანძილზე ექნებათ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ცვლილება გატარდება, რადგან აუცილებელია, დროდადრო, პედაგოგმა, საგნობრივი კომპეტენცია განაახლოს.

— ამისთვის ტრენინგები არაა საკმარისი?

— არა, ეს უნდა მოხდეს იქ, სადაც ხდება ცოდნის გადაცემა, ანუ უმაღლეს სასწავლებელში. ტრენინგები კი, რაღაც კონკრეტული ამოცანის შესასრულებლადაა ეფექტური.

— ახალი კადრებისთვის რა სიახლეები მომზადდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის მიხედვით?

— ახალი კადრებისთვის, ორი გზა შემუშავდა. ერთი — უნდა შეიქმნას თანამედროვე განათლების ე.წ. სკოლები, ანუ ის ადგილები უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც გაიზრდება ახალი კადრი. ამ გზის გავლის შემდეგ, მაღალკვალიფიციური კადრი აუცილებლად მომზადდება, თუმცა ესაა გრძელვადიანი გზა — შევიმუშავეთ მეთოდი, რომლის დროსაც, ბაკალავრის პროგრამაშივე, ჩაშენებული იქნება სამაგისტრო პროგრამა. პროგრამა არის 300-კრედიტიანი. ეს იქნება 5-წლიანი სწავლება, რომლის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა, მაგისტრის დიპლომს და კვალიფიკაციასაც მიიღებს. ეს მნიშვნელოვანია როგორც დროის, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

— ეს მეთოდი ყველა უმაღლეს სასწავლებელში დაინერგება?

— ჯერჯერობით პილოტირების რეჟიმში ვიქნებით, რომელშიც ჩაერთვება ორი დიდი უმაღლესი სასწავლებელი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას უნივერსიტეტი. პროცესში ასევე მიიღებენ მონაწილეობას ის რეგიონული უნივერსიტეტები, რომლებსაც წლების გამოცდილება აქვთ და დიდი ხანია ემსახურებიან მასწავლებლების მომზადების საქმეს.

— როგორც ვიცი, სიახლეა იმ ადამიანებისთვისაც, ვისაც მასწავლებლად არასოდეს უმუშავია, მაგრამ სურს პედაგოგი გახდეს. ასეთ პირებს, რას სთავაზობთ?

— დიახ, ბევრმა, ვისაც თავის დროზე არ აქვს მინიჭებული შესაბამისი კვალიფიკაცია, მაგრამ აქვს საგნობრივი კომპეტენცია, შეიძლება მოინდომოს მასწავლებლობა. მაგალითად, კვალიფიციურმა ქიმიკოსმა, რომელსაც სკოლაში არასოდეს უსწავლებია. ასეთ ადამიანებს ვახვედრებთ 60-კრედიტიან, 1 წლიან პროგრამას. 60 კრედიტი ჩაშლილია 20-20 კრედიტიან ქვეპროგრამად, საგნობრივი კომპონენტის, მეთოდოლოგიის, პედაგოგიკის საკითხების, ასაკობრივი ფსიქოლოგიის და სასკოლო პრაქტიკის კომპონენტის მიხედვით. ამ პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში, ადამიანს ეძლევა მასწავლებლობის უფლება, თანაც ხდება „უფროსი მასწავლებელი“ ანუ, ის ბოლოდან მესამე საფეხურზე იქნება, რაც თავისთავად გულისხმობს შედარებით მაღალ ანაზღაურებას. მთავარი კი, ამ და უკვე ხსენებულ 300-კრედიტიან, 5-წლიან პროგრამაშიც, არის პრაქტიკა. ნებისმიერმა მსურველმა უნდა გამოსცადოს თავი გაკვეთილზე. ჩვენი პოზიცია ასეთია - ბაკალავრიატის პირველი წლიდანვე, სწავლების დიდი კომპონენტი იქნება კონტაქტი სკოლებთან. იქნება სამოდელო სკოლები, რომლებიც ითანამშრომლებენ უმაღლეს სასწავლებლებთან. შეირჩევა სხვადასხვა სახის სკოლები, მცირე სკოლა, სკოლა მაღალმთიან რაიონში, კერძო სკოლა... რათა მომავალმა მასწავლებელმა დაინახოს, სად როგორ უნდა ასწავლოს. მაგალითად, როგორ ასწავლოს შერეულ კლასებში, ან იქ, სადაც ინკლუზიური სწავლებაა დანერგილი. 5-წლიან პროგრამაში, ბოლო, მე-5 წელი, თითქმის მთლიანად დაეთმობა პრაქტიკულ კომპონენტსა და კვლევას.

— კვლევა მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს?

— დიახ. ხშირად მეკითხებიან, რა კვლევა უნდა ჩაატაროს მასწავლებელმა. კლასის კვლევა უნდა ჩაატაროს, უნდა შეეძლოს იმის გაანალიზება, როგორ მიმდინარეობს პედაგოგიური პროცესი, რა არის გასაუმჯობესებელი და ასე შემდეგ. უამრავი რამაა გასათვალისწინებელი. მოკლედ, ეს ორი პროგრამა შევიმუშავეთ იმისთვის, რომ სისტემაში კვალიფიციური კადრების შემოდინება მოხერხდეს. პედაგოგთა კატეგორიებად დაყოფა კი, შესაბამისი გადამზადების შემდეგ მოხდება. სასიამოვნოა ისიც, რომ ამ სისტემური რეფორმით, მინიმუმამდეა დაყვანილი ბიუროკრატია. პედაგოგებისთვის და მასწავლებლობის მსურველებისთვის, მარტივად აღსაქმელია, კარიერული ზრდის რა შესაძლებლობები აქვთ. სქემაში ყველაფერი გაწერილია და გასაგებია, რა შემთხვევაში რა კატეგორიას მიიღებ, რა შემთხვევაში რამდენით მოიმატებს შენი ანაზღაურება...

— ეს მასწავლებლების პოზიციაა? როგორც ვიცი, პედაგოგებსა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს სისტემაში დაგეგმილ სიახლეებს პერიოდულად აცნობთ. როგორია მათი შთაბეჭდილება?

— დიახ, პრეზენტაციებს ვაწყობთ. ზოგადად, პირველწყაროდან გაგებული ინფორმაცია, გაცილებით ადვილად და სწორად აღსაქმელია. მითუმეტეს, ჩვენ ჯგუფს ყველაფერი მარტივად აქვს გათვლილი. დაახლოებით ისე, როგორც ბანკში ითვლიან, კრედიტის აღების შემთხვევაში, რამდენი წლის განმავლობაში რა თანხის გადახდა გიწევს. ჩვენც ასე დაწვრილებით ვუხსნით პედაგოგებს, რა გზა უნდა გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რამდენი კრედიტის მიღების შემთხვევაში, რა საფეხურზე ავლენ, როგორ გაიზრდება მათი ანაზღაურება... სიახლეები, ცხადია, ბევრს აშინებს. მითუმეტეს, წლების განმავლობაში ჩვენთან ბევრი გაუაზრებელი და არაეფექტური „რეფორმა“ გატარდა. თითქოს მხოლოდ სადამსჯელო ოპერაციები ტარდებოდა პედაგოგების მიმართ. დღეს ჩვენ ვუხსნით პედაგოგებს, რომ მათ მტრად არავინ აღიქვამს. პირიქით, სამინისტრო მონდინებულია და ყველაფერს აკეთებს, მათ განვითარებისთვის საუკეთესო პირობები შეუქმნას. სხვათა შორის, ამის დამადასტურებელია ისიც, რომ მანდატურის სამსახურის ფუნქცია შეიცვალა და დღეს მასწავლებლს მანდატურები კი არ აკონტროლებენ, მხოლოდ ეხმარებიან სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაში. პედაგოგებს იმასაც ვუხსნით, რომ დეცენტრალიზაციის მიზნით, გარე და შიდა დაკვირვებაც შემოვიღეთ. ამ უკანასკნელში მთლიანად სკოლა, დირექტორი, მასწავლებლები მონაწილეობენ. სწორედ ესაა ნდობის ის მაღალი ხარისხი, რომელსაც ვუცხადებთ სკოლას. ძალიან კარგია და ალბათ პირველად მოხდა, რომ მთელი სისტემა დავინახეთ ერთიანობაში და სისტემური ცვლილებები ტარდება, რაც პრეზენტაციების შემდეგ, პედაგოგებისთვის აბსოლუტურად გასაგები და მისაღებია. ისინი ხედავენ, რომ სისტემა არის მორგებული არა დასჯაზე, არამედ მასწავლებლის დახმარებაზე. ვცდილობთ, არ შევუქმნათ მათ რაღაც ზედმეტი, ბიუროკრატიული პრობლემები. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ გაჩნდეს მოტივაცია, ჰქონდეთ კარიერული ზრდის პერსპექტივა და რაც მთავარია, მასწავლებელს ჰქონდეს იმიჯი — ეს პროფესია იმდენად პრესტიჟული გახდეს, რომ ბევრ ახალგაზრდას გაუჩნდეს მასწავლებლობის სურვილი. სხვათაშორის, დღეს კიდევ ერთი დიდი პრობლემა ისაა, რომ მამაკაცებისგან დაიცალა სისტემა და ვფიქრობთ იმაზე, როგორ მოვიზიდოთ უფრო მეტი მამაკაცი სასკოლო სექტორში.

— უკვე არსებობს სასკოლო სექტორში მამაკაცი მასწავლებლების მოზიდვის კონკრეტული გეგმა?

— თუ მოტივაცია გაჩნდება და პროფესია იქნება პრესტიჟული, ეს უკვე საკმარისი მუხტი იქნება იმისთვის, ხალხი წამოვიდეს ამ სექტორში.

— საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე, პროფესიის არჩევისას, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ანაზღაურებაა. ახალი სქემის მიხედვით პედაგოგის ხელფასის ზრდაც იგეგმება?

— რა თქმა უნდა. პედაგოგს, კატეგორიიდან კატეგორიაში გადასვლისას, რამდენჯერმე მოემატება ანაზღაურება. მთავარი მოტივაცია კი ისაა, რომ მასწავლებლის ხელფასი, საბიუჯეტო სფეროში, საშუალოზე მაღალი იქნება. ვფიქრობ, სქემის სრულყოფილად ამუშავების შედეგად ახალგაზრდები პედაგოგის პროფესიას აირჩევენ.

ვერსიანიუსი

საქართველოს შსს-ს ოფიციალური ვიზიტით ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მეკავშირე ოფიცერი ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მეკავშირე ოფიცერი, ედუარდო ლუის ფერნანდეს მარტინი ეწვია. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. მეკავშირე ოფიცერი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებს შეხვდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურას, ევროინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს გაეცნო. მხარეებმა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და შესაძლებლობების ზრდის კუთხით სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს. ასევე დაიგეგმა ორმხრივი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობა მომავალში უფრო გაღრმავდება, რასაც ხელს შეუწყობს მიმდინარე წლის იანვარში ქალაქ მადრიდში ხელმოწერილი შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ესპანეთის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

„ვერსიანიუსი“

ფონდში „ნატახტარი“ წელს 161 313 ლარი შეგროვდა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

12 მარტს, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“, ფოდმა „ნატახტარი“, საზოგადოებას პროექტის „იზრუნე მომავალზე“, მეოთხე ტალღის ანგარიში წარუდგინა. კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა და ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელმა მანანა ომარაშვილმა, მოწვეულ სტუმრებს ფონდის საქმიანობისა და შეგროვებული თანხის შესახებ, დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

ფონდი „ნატახტარი“, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით, 2010 წლის ნოემბერში შეიქმნა. პროექტი „იზრუნე მომავალზე“, მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს საზოგადოებაში თავის დამკვიდრების შესაძლებლობას აძლევს. ეს პროექტი, რომელსაც კომპანია „ნატახტარი“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველო“, უკვე ოთხი წელია ახორციელებენ, ხელს უწყობს მცირე საოჯახო სახლების აღსაზრდელებს, რომ დამოუკიდებელ ცხოვრებას უფრო მომზადებულები შეხვდნენ. მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ კვალიფიციური ფსიქოლოგების გუნდი ეხმარება.

ფონდი „ნატახტარის“ დახმარებით, საქართველოს მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლევა, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ საქველმოქმედო პროცესში. უკვე ოთხი წელია, რაც ყოველი წლის 25 ნოემბრიდან 25 თებერვლის ჩათვლით, „ნატახტარის“ ლიმონათის თითოეული გაყიდული ბოთლიდან, გარკვეული თანხა ფონდის ანგარიშზე ირიცხება. თუ ამ პერიოდში, „ნატახტარის“ ლიმონათის 0.33 ლიტრიან ლიმონათს შეიძენთ, ფონდში — 1 თეთრი, 0.5 ლიტრიანი ლიმონათის შეძენისას — 3 თეთრი, ხოლო 2-ლიტრიანი ლიმონათის შეძენისას — 5 თეთრი ჩაირიცხება.

კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა, **თორნიკე ნიკოლაიშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ პროექტის „იზრუნე მომავალზე“ წარმატება, მხოლოდ ერთი კომპანიისა და ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დამსახურება არ არის. მისი თქმით, ამ ოთხი წლის მანძილზე, პროექტის წარმატება საზოგადოების კონსოლიდაციამ განაპირობა:

მზრუნველობამოკლებული 166 მოზარდის ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა

„პროექტის „იზრუნე მომავალზე“ მეოთხე ტალღა უკვე დასრულდა და წელს 161 313 ლარი შეგროვდა. მინდა გითხრათ, რომ ამ ოთხი წლის მანძილზე, ეს პროექტი მზრუნველობამოკლებული მოზარდების გაძლიერების გზით, საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას უწყობს ხელს. მთლიანობაში, მიმდიანრე წელს, 166 მოზარდის ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა“.

ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელმა **მანანა ომარაშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ განვლილი ოთხი წლის მანძილზე, პროექტი „იზრუნე მომავალზე“, ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი და ნაყოფიერი მუშაობის აშკარა მაგალითია. მისი თქმით, როგორც წესი, ცალკეული ბიზნესკომპანიები დამოუკიდებლად ახორციელებენ სხვადასხვა საქველმოქმედო პროექტებს, თუმცა კომპანია „ნატახტარი“, მზრუნველობამოკლებული მოზარდების დასახმარებლად, თავიდანვე ენდო არასამთავრობო ორგანიზაციას:

„წელს, მზრუნველობამოკლებული 166 მოზარდიდან, 61 მათგანი უკვე დასაქმდა, 10 სტუდენტი გვყავს, რომლებიც სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, 54 მოზარდი კოლეჯში სწავლობს და სასურველ ხელობას ეუფლება. ჩვენ ისეთი სტუდენტებიც გვყავს, რომლებიც პარალელურად, ხელობასაც სწავლობენ, რათა დამოუკიდებელი ცხოვრება უფრო მალე დაიწყონ. ამ ხნის მანძილზე, მიღწევაა ის, რომ გაცილებით მეტი წარმატებული ისტორია გვაქვს, რადგან მზრუნველობამოკლებულ მოზარდებთან მიზანმიმართული მუშაობის შედეგად, სასურველ შედეგს ვიღებთ. რაც შეეხება კონკრეტულ სპეციალობებს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ტურიზმის, ჟურნალისტიკის, ფსიქოლოგიის ფაკულტეტებზე სწავლობენ, ორი მათგანი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს, ერთი საჯარო მმართველობას ეუფლება, ერთი კი მომავალი აგრონომი გვეყოლება“.

მანანა ომარაშვილის განმარტებით, კოლეჯის მოსწავლეები ძირითადად, სტილისტისა და ავტოშემკეთებლის პროფესიებს ეუფლებიან. თუმცა მზრუნველობამოკლებული მოზარდები სპეციალობებს ფსიქოლოგების დახმარებით ირჩევენ. თავის მხრივ, ფსიქოლოგთა გუნდი ბაზრის მოთხოვნებს ითვალისწინებს, რათა ამ მოზარდებმა უფრო ადვილად დაიწყონ მუშაობა და დამოუკიდებელი ცხოვრება.

„34“-ის რეალური ისტორია

ის, რაზეც ბოლო დროს ყველაზე ბევრს საუბრობდნენ და რამაც ყველა აალაპარაკა, უნიკალური მეთოდით დამზადებული, ლუდი „34“ აღმოჩნდა. სამი სახის ქერის ალაოსა და ოთხი სახის რჩეული სვიის შეზავებით, განსაკუთრებული არომატის მქონე ლუდი გურმანებისთვის იხარშება. სწორედ ამ გამორჩეული გემოს გამო, ახალი ლუდის შექმნა გარკვეული ექსპერიმენტი იყო.

დღეს ლუდის ბაზარზე საკმაოდ მაღალი კონკურენციაა. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს, როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე იმპორტირებული, სხვადასხვა გემოსა და ფასის პროდუქტი. შესაბამისად, ახალი პროდუქტი, რომელიც ბაზარზე გამოჩნდებოდა, გამორჩეული და დასამახსოვრებელი უნდა ყოფილიყო, როგორც გემოვნური თვისებებით, ასევე ბრენდული სახელითა და შეფუთვით. თუმცა ბაზარზე ახალი პროდუქტი გამორჩეული სარეკლამო კამპანიით გამოჩნდა.

ყველაფერი, მათ შორის, ვიდეორგოლები, ბილბორდები, ინტერნეტ-რეკლამაც კი, მხოლოდ ერთ კითხვას ბადებდა, — რა იყო 34? შეიქმნა ვებგვერდი, სადაც 34-ის შესახებ საკუთარი ვერსიის დაწერა ყველას შეეძლო. რამდენიმე კვირის განმავლობაში, ვებ-გვერდს უამრავი ადამიანი ესტუმრა, შესაბამისად, 34-ის ირგვლივ, უამრავი ვერსია გაჩნდა. ფაქტობრივად, 34-მა, მთელი ქვეყანა აალაპარაკა.

სწორედ მაშინ, როცა 34-ის შესახებ ინტერესმა პიკს მიაღწია, მაღაზიებში ლუდი „34“ გამოჩნდა, 1 ბოთლი — 34 ლარად. ინტერესი გაოცებამ შეცვალა, რადგან ერთი ბოთლი ლუდისთვის უჩვეულოდ მაღალი ფასი, ბევრისთვის ახალ გამოცანად იქცა. მისი შეძენა მხოლოდ ლუდის ნამდვილმა გურმანებმა გაბედეს და არც შემცდარან, რადგან ამისთვის განსაკუთრებულად დასაჩუქრდნენ. „34“-ის პირველ სამ მყიდველს, ქალაქში ძეგლი დაუდგეს, ხოლო „34“-ის ყველა მყიდველს, საჩუქრად უამრავი ლუდი „34“ ერგო. საჩუქრები მათთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რასაც ბევრი სიხარული და ემოცია ახლდა.

ხუთი დღის შემდეგ, „34“-ის ფასი ყველასთვის მისაღები გახდა, 1 ბოთლი — 2 ლარად. უჩვეულო სარეკლამო კამპანია კი ყველას დაამახსოვრდა. მომხმარებელთა დიდ ინტერესს ვებგვერდისა და სარეკლამო რგოლების მნახველთა სტატისტიკაც ადასტურებს. ინტერნეტმომხმარებლები გამოხმაურებაში იმასაც კი წერდნენ, რომ მსგავსი რამ არასოდეს უნახავთ, ზოგი ნანობდა კიდეც, რომ ლუდი 34-ლარად არ შეიძინა და შესაბამისად, საინტერესო საჩუქრის გარეშე დარჩა. რა თქმა უნდა, იყვნენ სკეპტიკოსებიც, მაგრამ საბოლოოდ, ყველა თანხმდება, რომ ლუდი „34“-ის გამოჩენას ბაზარზე, უამრავი პოზიტივი და კრეატივი ახლდა.

მხატვარ ეკა ფერაძის ქართული სამყარო უცხოეთში

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

საქართველოდან წასვლა 18 წლისამ გადაწყვიტა და მეუღლესა და ორ შვილთან ერთად გერმანიას მიაშურა... ამბობს — მაშინ ხელოვანი ადამიანებისთვის აქ არანაირი პირობები არ იყო, თორემ ყველაფერი ასე რომ ყოფილიყო განვითარებული, როგორც ახლაა, სამშობლოს დატოვებაზე არც ვიფიქრებდიო...
მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა, კარიერაც აეწყო და დღეს მისი ნამუშევრები საკმაოდ მოთხოვნადია; გარდა ამისა, ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო აქციებში, ეხმარება მათ, ვისაც დახმარება სჭირდება და ამბობს — ერთი ტკბილი სიტყვა ბევრ მატერიალურ სიკეთეს გადაწონისო. „ვერსიის“ სტუმარი, მხატვარი ეკა ფერაძეა, თავისი წარმატებებით, ტკივილთა და რეალობით...

„თავს ემიგრანტად არ ვგრძნობ... სადაც უნდა ვიყო, ქართველი ვარ და ამით ვამაყობ“

— 18 წლის ვიყავი, როცა მეუღლესა და 2 პატარა ბავშვთან ერთად საქართველო დავტოვეთ.

— ალბათ ადვილი არ იყო, უცხო ქვეყანაში კარიერის გაკეთება...

— ამ სამყაროში ადვილად რამე კეთდება?... ნებისმიერი საქმიანობა მოქმედებასთანაა დაკავშირებული.

— მოქმედება წარმატების გარანტია?

— შეუძლებელი ნამდვილად არაფერია... მოქმედებებში კი სათანადო გა-

ნათლებას ვგულისხმობ და მნიშვნელობა არ აქვს, ამ დროს რომელ სფეროში მოღვაწეობ... მერე კი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.

— ფიქრობთ, საჭირო ნაბიჯები გადადგით თუ, უბრალოდ, გაგიმართლათ?

— მორწმუნე ვარ და მჯერა გამართლების... საკმაოდ რთული გზა განვვლე, ურთულესი... გამართლებისთვისაც ნაბიჯებია საჭირო.

— საქართველოში რომ დარჩენილიყავით, ასეთ წარმატებას მიაღწევდით?

— ადამიანი განვლილ წლებთან ერთად ბევრ რამეს სწავლობს. მე რომ ხვალ საქართველოში დავიბადო, ამ აზროვნებით, აუცილებლად მივაღწევ წარმატებას. რამის მიღწევას ეტაპები სჭირდება, დრო, განათლება, ცივილიზაცია და ა.შ.

იცით, დროის მოგებისა და გაჩერების ძალიან ბევრი ხერხი არსებობს. მე შემიძლია, ნებისმიერი ხელოვანი, მხატვარს ვგულისხმობ, დროში გადავიყვანო და მინიმუმ 5 წელი ვაჩუქო... აქამდე მოსასვლელად, 10 წელი დამჭირდა, მაგრამ ახალბედა მხატვარს, ჩემი სწავლებითა და გამოცდილებით ამ დროს 2-3 წელზე შევუმცირებ.

— თქვენი ნოსტალგია რამდენწლიან ისტორიას ითვლის?

— ...თავიდან იყო ნოსტალგია, მაგრამ ახლა ტექნოლოგიებმა და ცივილიზაციამ საგრძნობლად შეამცირა ტკივილი. მთავარია, გული გულობდეს, ხელი აქედანაც მიმიწვდება ყველასთან.

— თქვენს ქველმოქმედებას თუ აქვს საზღვრები?

— ადამიანი ქველმოქმედებისთვისაა დაბადებული. რატომღაც ბევრი ამაში მატერიალურ დახმარებას ხედავს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ერთი ტკბილი სიტყვა უკვე ქველმოქმედებაა და მას სამყაროს შეცვლა შეუძლია. პირადად, ყველა დადებით მოქმედებაში ქველმოქმედებას ვხედავ.

მივიხედ-მოვიხედოთ, დავხედოთ საკუთარ ხელებს და ვთქვათ — გარშემო რა არის ჩვენი? — არაფერი! საკუთარი ხორციც კი არ გვეკუთვნის. ქართველ ერს სიყვარულის, სიკეთის დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გამოყენება არ იცის; გვგონია, სიკეთეს ვაკეთებთ და არ ვუფიქრდებით — იქნებ დათვურ სამსახურს ვუწევთ? ადვილი არ არის იყო ქველმოქმედი. ბევრს ჰგონია, რადგან მილიონერია, თანხა რომ დაარიგოს, ყველა კარგად იქნება, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის... 1000 დოლარის შოვნა შეიძლება, მაგრამ რთულია, ეს თანხა სწორად დახარჯო. ამიტომ ჰგონიათ ადამიანებს, რომ სიკეთეს თესენ, მაგრამ ხშირად უკან ცუდად უბრუნდებათ. რაც შემეხება მე — სიყვარულზე უარს არასოდეს ვამბობ, სიყვარული კი ქველმოქმედება და უსასრულობაა.

თუ ოდესმე გამოფენა გამიკეთებია, ყველა საქველმოქმედო იყო და რა მნიშვნელობა აქვს — საქართველოში ვიქნები თუ ევროპაში... ყოველთვის იქ ვიქნები სადაც დავჭირდები სხვებს... ჩემო ძვირფასებო, არასოდეს გააიგივოთ ფასეულობები მატერიალურთან, ფინანსურთან და რაც მეტ სიყვარულს გასცემთ, მით მეტი დაგიბრუნდებათ. ამ პრინციპით მიცხოვრია და თავს უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევ...

— მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთში მოღვაწეობთ?

— თავს ემიგრანტად არ ვგრძნობ... ჩემი სამყარო მაქვს შექმნილი, სადაც უნდა ვიყო, ქართველი ვარ და ამით ვამაყობ.

— როგორ ცხოვრობენ გერმანიაში ქართველი მხატვრები?

— დიდი დოზით ურთიერთობა ქართველებთან არ მაქვს... მეტმა სიყვარულმა სიძულვილი იცის და ამას ყო-

ველთვის ვაკონტროლებ. თუ ადამიანს შევიყვარებ, ვხდები ეგოისტი, ეჭვიანი და მისგანაც იგივეს ვითხოვ. ძალიან პატარა რამემ, შესაძლოა, გული მატკინოს... მსგავსი შეცდომები დამიშვია და აღარ მინდა, იგივე განვიცადო; გარდა ამისა, აქ ყველა თავის საქმითაა დაკავებული.

...კარგად მოგეხსენებათ ქართული მენტალიტეტი, ცხვირაწეულობა... მე კი ასეთი არ ვარ, არასოდეს ვაფასებ ადამიანს თანამდებობით, უშუალო ვარ, მაგრამ ზოგს რომ გაუცინებ, შეიძლება შემოგარტყას, ბარიერი ირღვევა, რაც ჩემთვის გამაღიზიანებელია და მერე, სამწუხაროდ, ადამიანების გადახარისხება მიწევს ხოლმე... არა იმიტომ, რომ ვინმეზე მეტი ან ნაკლები ვარ, უბრალოდ განსხვავებული შეხედულებები გვაქვს. ვცდილობ, ისეთ ხალხთან მქონდეს ურთიერთობა, ვინც ჩემს შეხედულებებსა და აზრს იზიარებს და ასეთი მხოლოდ ერთი ვნახე — ჩემი მეუღლე.

— რომელიც...

— რომელიც საუკეთესო მეუღლე და საუკეთესო მამაა, ბავშვებს კი სიყვარულით ვზრდით და სიყვარულს ვასწავლით...

— რაზე ოცნებობს ეკა ფერაძე?

— სიკეთე ვთესო, რაც შეიძლება ბევრი ადამიანი გავათბო... არასოდეს ვყოფილვარ აგრესიის მომხრე და მინდა, სწორად მოაზროვნე საქართველო ვიხილო მომავალში, სწორი განათლებით.

— ეკა, როგორ ფიქრობთ, რატომ არიან მხატვრები საქართველოში ნაკლებად დაფასებულნი?

— როგორ უნდა დაფასდნენ ან ვინ უნდა დააფასოს? რატომ ჰგონიათ საქართველოში, რომ სხვაგან იავარდით ხვდებიან მხატვრებს? საქართველოში ნებისმიერ მხატვარს შეუძლია გამოფენა გააკეთოს, ევროპაში კი გამოფენის მოწყობა უმაღლეს მწვერვალზე ასვლის ტოლფასია.

...ძალიან ბევრი პროექტი შევქმენი საქართველოსთვის და აუცილებლად დავიწყებ მათ განხორციელებას. ესეც თავისებურად ქველმოქმედება იქნება ხელოვანებისთვის. ვფიქრობ ადამიანმა ჯერ თვითონ უნდა დააფასოს საკუთარი თავი.

— რას გულისხმობთ?

— მხატვრის იმიჯი უნდა შეცვალონ... რატომღაც, მხატვარს ხედავენ, როგორც გაჭირვებულ ფიროსმანს, მე კი არ მინდა შევაფასო, რატომ იყო ფიროსმანი ასეთ დღეში. ნამდვილად არ არის მხატვარი დაუფასებელი საქართველოში და, თუ ვინმე მეტყვის, როგორ ან რატომ უნდა დააფასონ, სიამოვნებით მოვისმენ.

— თქვით, საქართველოსთვის ბევრი პროექტი შევქმენიო... დაბრუნებას ხომ არ აპირებთ?

— როგორც მოგახსენეთ, მაქვს ჩემი, საკუთარი სამყარო და სადაც ვარ, იქ ჩემი საქართველოა. თუ ამისთვის მაინცდამაინც ქართულ მიწაზე უნდა დავდგა ფეხი, აუცილებლად ჩამოვალ.

1.გემის სამზარეულო
2.სიკვდილისწინა მდგომარეობა
3. ტკბილი კარტოფილი
4. ცნობილი საბჭოთა მზვერავი
5. ძვირფასი ლითონი
6. ძველი საგრძნეთი
7. ხის დიდი კოვზი
8. იტალიელი კინოვარსკვლავი
9. პატარა ზომის პლაკატი
10. ქალაქი დასავლეთ უკრაინაში
11. ჰოროსიმას „კოლეგა“
12. ქერისგან დამზადებული სასმელი
13. პატიმრის დასასვლელი საკანი
14. კამერუნის დედაქალაქი
15. ზნეობრივი პრინციპების უარყოფა
16. თევზების შემსწავლელი მეცნიერება
17. რთული სიტყვის წინსართი, ნიშნავს საჰაეროს
18. ინგლისური ავტომარკა
19. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი
20. კუნძული ჩინეთის მახლობლად
21 ძველ. შეიცარული გრძელტარიანი შუბი
22. იგივეა, რაც წინდი
23. ფართო ხეივანი ქალაქის ქუჩის გაყოლებაზე
24. სამაგიდო თამაში
25. სასკოლო საგანი
26.პიკნიკი ღიაცის ქვეშ მწვადებით
27. სტენდალის ნამდვილი გვარი
28.მოცულ. საზომი ერთეული აშშ-ში
29.სურნელოვანი ნელსაცხებელი
30. ბიბლიური ზღვის ურჩხული
31. დათო ფორჩხიძის ყოფილი ჯგუფი
32. მსახიობი ... ტაილერი
33. სპილბერგის უცხოპლანეტელი
34. ღორის ცხვირი
35. ავიაციის ერთ-ერთი პიონერი
36. აშშ-ის შტატი
37. ტიბეტური ხარი
38. ადამიანის სამეტყველო ორგანო
39. სატელეფონო სიტყვა
40. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
41.ესპანელი ქალების მაქმანიანი მოსახვევი
42. ფართობის ერთეული ჩინეთში
43. იგივეა, რაც აირი
44. ნ. გოგოლის მოთხრობა
45. თმის მცენარეული საღებავი
46.რკინიგზ. ლიანდაგის შემადგენელი ნაწილი
47. ეკლესიის მსახური
48. ქალაქი რაჭაში
49. ამერიკელი მსახიობი ... ჰეთუეი
50. მზის ამოსვლა, განთიადი
51. მარტის ძველქართ. სახელწოდება
52. სანელებელი მცენარე
53. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი
54.თურქ. სერიალი „ქალბატონი ...“
55. ელექტრ. განმუხტვა ატმოსფეროში
56. საყანედ გაკაფული ტყე
57. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი
58. მუსიკალ გამის III ნოტი
59. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში

ზღაპი ცულის გარეშე?

სამხრეთაფრიკელმა სტუდენტმა კეიპტაუნის უნივერსიტეტიდან ლუდვიგ მარიშეინმა გელი შექმნა შხაპისთვის, რომელსაც წყლის გამოყენება არ სჭირდება. ახალი საშუალება კანის დეზინფიცირებას ისევე ახდენს, როგორც სრულყოფილი ბანაობა. გელი, რომელსაც DryBath უწოდეს, კლავს მიკრობებს, ატენიანებს კანს და მას სასიამოვნო სურნელს ანიჭებს. მარიშეინმა უკვე დააპატენტა საკუთარი გამოგონება და მის გამო ჯილდოც — Global Student Entrepreneur Awards მიიღო. ლუდვიგი უახლოეს მომავალში საკუთარი კომპანიის დაფუძნებასა და გამოგონების წარმოებაში ჩაშვებას აპირებს. პროდუქცია კი ღარიბ ქვეყნებზე იქნება გათვლილი.

ცოლის სიძულვილისთვის დააჯარიმეს



თურქეთი მამაკაცი ფულად კომპენსაციას გადაუხდის მეუღლეს „ემოციური ძალადობისთვის“, რადგან არაერთხელ უთქვამს, რომ არ უყვარს. ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ მიიღო. როგორც ცნობილი გახდა, ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ადგილობრივ სასამართლოში უჩივლა და ფულად კომპენსაციას ითხოვდნენ გამუდმებული შეურაცხყოფისთვის. ქალი აცხადებდა, რომ ქმარი ხშირად ტოვებდა მარტოს სახლში და ეუბნებოდა, არ მიყვარხარო. როგორც იგი ამტკიცებს, მეუღლის ასეთი საქციელი „ემოციური ძალადობის“ სახეს ატარებდა. ქალაქ შანლიურფის სასამართლომ ცოლს უარი უთხრა ფულად კომპენსაციაზე იმ მიზეზით, რომ შეურაცხყოფა ორმხრივი იყო. საბოლოოდ კი თურქეთის უზენაესმა სასამართლომ „დაჩაგრული“ ცოლის მხარე დაიჭირა. აღსანიშნავია, რომ ბოლოდრინდელი გამოკითხვების თანახმად, თურქი ქალების 75% ძალადობის მსხვერპლია, მამაკაცების 37,5% კი აღიარებს, რომ სასტიკია მეუღლეების მიმართ.

წყალი სუიციდის წინააღმდეგ

სასმელ წყალში ლითიუმის არსებობა თვითმკვლელობის რისკს ამცირებს, — ამ დასკვნამდე მივიდნენ იპონელი სწავლულები ჰიროსიმას უნივერსიტეტიდან. მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს იმის თაობაზე, წყლის შემადგენლობა როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს სუიციდის სიხშირეს. აღმოჩნდა, რომ სასმელ წყალში სულ მცირე რაოდენობით ლითიუმის არსებობა თვითმკვლელობის რიცხვს ამცირებს მათში, ვინც ასეთ წყალს სვამს. სპეციალისტების მოსაზრებით, ლითიუმი პირველ რიგში მათზე მოქმედებს, ვინც ასეთ წყალს მრავალი წლის განმავლობაში იღებს, რადგან ამ ქიმიური ელემენტის შემცველობა წყალში გაცილებით ნაკლებია თერაპევტულ დოზაზე (0,7-დან 59 მკგ-მდე 1 ლიტრზე), რასაც დადებითი ეფექტის გამოწვევა შეუძლია.

სადგურზე საზოგადოებრივი პიანინო დადგეს

ცოტა ხნის წინ აპენინებზე, ქალაქ ტურინის Torino Porta Nuova სადგურზე ფორტეპიანო „დაავიწყდათ“. იქვე, ინსტრუმენტზე დაკიდებული პლაკატი კი იუწყებოდა — Play me, I'm Yours (დაუკარი, შენი ვარ). პიანინოზე ნებისმიერ მსურველს შეუძლია დაკვრა. როგორც იდეის ავტორები ამბობენ, მათი პროექტი მალე გაფართოვდება და ინსტრუმენტები სხვა ქალაქებშიც — მილანიდან ვენეციამდე გაჩნდება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ინიციატივა პირველად 2008 წელს განხორციელდა დიდ ბრიტანეთში — ბირმინჰემში პიანინო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩნდებოდა და ნებისმიერი მსურველი უკრავდა. მას შემდეგ იდეა მსოფლიოში აიტაცეს და ის უკვე 46 ქალაქში განხორციელდა.

სუდოკუმანია

ადვილი

8		9	6	5		4		3
		3		1	9		7	
					3	5		9
							5	
6		5				9		1
	4							
5		4	1					
	3		9	8		2		
9		6		3	5	1		8

სტანდარტი

6			4		1	3		
5			8			7		
2				7			8	4
		7					9	
				9				
	3					4		
1	9			3				5
		4			5			3
		6	2		4			1

რთული

							9	
9	1	3	8	6				2
		8	4					
4	9		7			8		
		5			3		2	7
					4	2		
2				3	1	5	4	6
	5							

ექსპერტი

4	6		3				8	
5					9		6	
	2							
	1				6			9
		8		4		1		
9			2				7	
							3	
	5		6					1
	8				1		9	4

უჩვეულო შოკოლადი — ახალგაზრდობის საიდუმლო

კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულები აცხადებენ, რომ შექმნეს შოკოლადი, რომელსაც გამაახალგაზრდავებელი ეფექტი აქვს. სასწაულ პროდუქტს Esthechoc უწოდეს. ესაა შავი შოკოლადი, რომელშიც კაკაოს წილი 70%-ია. ასეთი შემადგენლობა და გარკვეული ცვლილებები უზრუნველყოფს მასში ანტიოქსიდანტების დიდ დოზას. მაგალითად, ახალი ტკბილეულის ერთ ნატეხში (7,5 გრამი) იმდენივე ანტიოქსიდანტი იქნება, რაც 100 გრამ ჩვეულებრივ შოკოლადში. პროდუქტზე კლინიკური ცდებიც ჩატარდა, რომელშიც 50-60 წლის ადამიანები მონაწილეობდნენ. მოხალისეებს საკმაოდ სასიამოვნო პროცედურა შეასთავაზეს: მათ 3-4 კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად თითო ნატეხი შოკოლადი უნდა მიერთვათ. შედგად აღმოჩნდა, რომ გაუუმჯობესდათ სისხლის ნაკადის მიწოდება კანთან, დაქვეითდა ანთბის მაჩვენებელი. ბიომარეკრების მიხედვით, კანის მდგომარეობის მაჩვენებელი შეიძლებოდა 20-30 წლის ადამიანებისას გათანაბრებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ შოკოლადში სულ 38 კალორიაა. ახალი პროდუქტის მწარმოებელი და გამავრცელებლი კომპანია Cambridge Chocolate Technologies იქნება. ბაზარზე კი სიახლე შემდეგი თვიდან გამოჩნდება და დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში გაყიდება. .

დიეტური შამპანური ქალებისთვის

ბრიტანელმა ჟურნალისტმა ამანდა ტომპსონმა, რომელიც დღეს ფრანგული ღვინოების ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტია, განსხვავებული შამპანური შექმნა — ღვინის მოყვარულ ქალბატონებს ახალი სასმელი Brut Nature Cuvée Grand Cru წარუდგინა, რომლის ერთი ბოკალი მხოლოდ 60 კალორიას შეიცავს მაშინ, როცა დანარჩენ ცქრიალა ღვინოებს განსაკუთრებით ჭარბი კალორიულობა ახასიათებს. ეს შამპანური ნამდვილი საჩუქარია მათთვის, ვინც ჯანმრთელობასა და აღნაგობას უფრთხილდება. ამანდას ჟურნალისტური ცხოვრებისას ხშირად უწევდა ელიტური წვეულებების გაშუქება და შამპანურსაც ხშირად მიირთმევდა. ამის გამო კი სულ წუხდა — სასმელის მაღალკალორიულობა კარგად იცოდა. ჰოდა, ერთხელაც გადაწყვიტა, ისეთი შამპანური შეექმნა, რომელიც ამ პრობლემას გადაჭრიდა. მან მიატოვა სამსახური და ოჯახთან ერთად პარიზში გადავიდა, ჯერ ცნობილ კულინარიულ სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი შამპანში მეღვინე იპოვა, რომელიც მისი იდეის რეალიზაციას დათანხმდა. ქალბატონი ტომპონის ახალი სასმელი დღეს უკვე რეალობაა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ შამპანური საგანგებო ტექნოლოგიით არ არის დამზადებული — მას დუღილისას შაქარს არ უმატებენ და სწორედ ამიტომ სასმელი ბევრად ნაკლებ კალორიას შეიცავს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

6	5	4	3	1	9	2	8	7
1	3	2	8	7	5	9	6	4
9	7	8	2	6	4	3	5	1
8	4	5	9	3	2	1	7	6
3	2	1	7	8	6	5	4	9
7	6	9	5	4	1	8	3	2
5	1	7	6	2	8	4	9	3
2	9	6	4	5	3	7	1	8
4	8	3	1	9	7	6	2	5

სტანდარტი

7	8	3	9	2	1	6	5	4
6	5	1	3	4	8	2	7	9
2	4	9	7	6	5	3	8	1
5	9	8	6	1	2	4	3	7
1	3	7	8	9	4	5	6	2
4	2	6	5	7	3	1	9	8
3	1	5	4	8	9	7	2	6
9	7	2	1	5	6	8	4	3
8	6	4	2	3	7	9	1	5

რთული

3	2	9	7	8	1	6	5	4
8	7	5	9	4	6	3	1	2
4	1	6	5	3	2	9	8	7
2	9	7	6	5	8	1	4	3
6	8	4	3	1	9	7	2	5
5	3	1	2	7	4	8	9	6
1	6	8	4	2	7	5	3	9
9	5	2	1	6	3	4	7	8
7	4	3	8	9	5	2	6	1

ექსპერტი

6	5	4	3	2	7	1	9	8
1	9	8	6	5	4	7	3	2
7	3	2	1	9	8	6	5	4
9	8	7	2	1	3	5	4	6
2	1	6	7	4	5	9	8	3
5	4	3	9	8	6	2	1	7
4	7	5	8	6	1	3	2	9
8	6	9	5	3	2	4	7	1
3	2	1	4	7	9	8	6	5

მე-10 გვერდი: 1. გემბანი; 2. ქვირითი; 3. გალიციზმი; 4. მენესტრელი; 5. ალუდა; 6. იდიში; 7. ქიმერა; 8. იუნონა; 9. ინსტინქტი; 10. იპონი; 11. პლინთუსი; 12. ირა; 13. კაა; 14. რადა; 15. ამონასრო; 16. ანიმე; 17. ჟაირზინიო; 18. რიო; 19. ცისკარი; 20. რანჟირი; 21. ატრია; 22. იტალიკი; 23. დოქი; 24. ზარანდია; 25. ბამბა; 26. ვარდო; 27. ქანაანი; 28. ქონი; 29. ანკერი; 30. ატლასი; 31. არსება; 32. ნუაქშოტი; 33. მალა; 34. ტრამონტანა; 35. უატი; 36. უნაბი; 37. აეკი; 38. ენზიმი; 39. რი; 40. აგლაია; 41. ბუდა; 42. პატიო; 43. პენი; 44. მანო; 45. იენი; 46. სოლ; 47. ქალა; 48. „ალია“; 49. აპენინი; 50. ასი; 51. არ; 52. შუ; 53. უტ; 54. კოლი; 55. კანოე; 56. კატერი; 57. ნო; 58. ლიბრი; 59. ბოი; 60. ოე; 61. საბანტუი; 62. ტიარა; 63. მისია; 64. ნოინი.

მე-12 გვერდი: 1. სვიფტი; 2. ვოლფრამი; 3. ფოსქტროტი; 4. პრიამე; 5. რაბინი; 6. აბზაცი; 7. ფლოქსი; 8. იკაროსი; 9. სატირა; 10. აბაზია; 11. ელერონი; 12. კვადრატი; 13. ნეცკე; 14. აკრი; 15. სეიფი; 16. ესაძე; 17. მაორი; 18. აპრეტი; 19. ოტური; 20. ვილია; 21. ატრია; 22. ბუტერბროდი; 23. სნო; 24. ბრიუს ლი; 25. ტრესტი; 26. დრომადერი; 27. რტო; 28. მოურავი; 29. კეცი; 30. რომარიო; 31. ხოჯა; 32. უნიკუმი; 33. ეგიდა; 34. საუნდტრეკი; 35. ფუგუ; 36. თუთა; 37. დეპო; 38. ანატოლი; 39. აკიდო; 40. ტრირი; 41. პუერარია; 42. დიუმა; 43. სიტე; 44. ამაგი; 45. სკივრი; 46. მარაო; 47. რაი; 48. ტირე; 49. ილი; 50. ტრინიდადი; 51. ნკონო; 52. კანკანი; 53. „აიაქსი“; 54. რადიკალი; 55. ელვა; 56. იაფეტი; 57. ევრიკა; 58. ლოა; 59. ედემი; 60. ფინია; 61. ეხი; 62. ვენდეტა; 63. იდო; 64. „აუდი“; 65. სეფიაშვილი; 66. კორო; 67. სევრი; 68. რიფსიმე; 69. ანუ; 70. დუეტი; 71. კეა; 72. სი; 73. იშხანი; 74. პი; 75. იბიცა; 76. „ნივეა“; 77. ოინა; 78. ეტი; 79. ნეონი; 80. სოლ; 81. იატაკი; 82. აპოლონი.

რეკორდული ჯარიმა სიჩქარის გადაჭარბებისთვის

ფინელი ბიზნესმენი რეიმა კუისლა სიჩქარის გადაჭარბებისთვის 54 ათასი ევროთი დააჯარიმეს. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში ჯარიმების პროგრესული შკალა მოქმედებს, რაც დამოკიდებულია ფინეთის მოქალაქის დეკლარირებულ წლიურ შემოსავალზე. ბიზნესმენს „განაჩენი“ მას შემდეგ გამოუტანეს, რაც ხელისუფლებამ შეისწავლა „დამნაშავის“ 2013 წლის დეკლარაცია. მისი შედეგების მიხედვით, კუისლას სულ 6,5 მილიონი ევრო გამოუმუშავებია. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, ჯარიმების გამოთვლის ასეთ სისტემას იმიტომ იყენებენ, რომ მიუხედავად უზრუნველყოფილი ცხოვრებისა, ადამიანებმა იგრძნონ „სასჯელის არსი“. თუმცა, სოციალურ ქსელში ბიზნესმენი აცხადებს, რომ ასეთ ჯარიმას უსამართლოდ თვლის. ადრე სამშობლოს დატოვება არასდროს მიფიქრია. მაგრამ დღეს ფინეთი იქცა ისეთ ქვეყნად, სადაც შეუძლებელია ცხოვრება, თუკი კარგ ფულს შოულობ, — ამბობს დაჯარიმებული მძღოლი. აღსანიშნავია, რომ სიჩქარის გადაჭარბებისთვის რეკორდული გადასახადი — 116 ათასი ევრო 2002 წელს ანსი ვანიიოკის დაეკისრა, რომელიც მაშინ კომპანია „ნოკიას“ დირექტორად მუშაობდა.

იტალიელებმა ფეხსაცმლის გაქირავება დაიწყეს

აპენინებზე მოდური ფეხსაცმლის მოყვარულთათვის, ვინც ვერ ახერხებს მუდმივად შეიძინოს ბოლო მოდელები, ახალი სერვისი ამოქმედდა. განსაკუთრებული შემთხვევებისთვის, ლიგურიის ქალაქ ალასიოში მათ შეუძლიათ ფეხსაცმელი იქირაონ. საკმარისია მხოლოდ სასურველი მოდელი გაარკვიონ. ამგვარი ორიგინალური ანტიკრიზისული ინიციატივით ადგილობრივი ატელიე ჯაისონ დე ჯავიე გამოვიდა. იდეის ავტორებს უკვე სიამოვნებით გამოეხმაურნენ არა მხოლოდ უბრალო ადამიანები, ვინც „შეყვარებულია“ ფეხსაცმელზე, არამედ იტალიაში პოპულარული ხელოვანები, ტელეწამყვანები და მოდელები.

1.ამერიკის „დამოუკიდებ. დეკლარაციის“ ავტორი

2. საზეიმო ნადიმი რისამე აღსანიშნავად

3. ბანქოს „ჯამბაზი“

4.რეიტინგების „შემდგენელი“ ამერიკული ჟურნალი

5.ხმის გამაძლიერებელი კონუსური მილი

6.სქესობრივი მომწიფების აჩქარება ბავშვებში

7. ე. წ. „მომღერალი კაფე“ საფრანგეთში

8. ანგარიშსწორება პოლიტ. მოწინააღმდეგესთან

9. ტბა ალასკის ნახევარკუნძულზე

10. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის

11. ხელოვნური თმები

12. ნადირობა აფრიკაში

13. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი

14.ქალაქი ბელგიაში

15. მნათი სტრიქონები ტელევიზორის ეკრანზე

16. ფშაველთა მთავარი სალოცავი

17.შექსპირის დრამა „მეფე ...“

18. გასეირნება ბავშვის ენაზე

19. მკვახე ყურძენი

20. სასწორის თეფში

21. ფრანგული ავტომარკა

22. მოსკოვის ერთ-ერთი ქუჩა

23.ქართული კომედიური ტელესერიალი

24.ყველაფრის სარგო წამალი

25. გარეული ღორი

26. ღრმა და ბნელი ორმო

27. ლატვიის დედაქალაქი

28. ჰოლივუდის მსახიობი

29. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში

30. ცხრასტრიქონიანი სტროფი

31.კუნთოვანი ქსოვილის სიმსივნე

32. სპორტული მარხილი

33. მოდის მიმდევარი მამაკაცი

34. მწერალი ... იოსელიანი

35. თაოსნობა რამე საქმეში

36. ედგარ ბეროუზის ლიტერატ. პერსონაჟი

37. იურიდიული საბუთების დამმოწმებელი

38. ვულკანი მექსიკაში

39. შავყურძნიანი ვაზის ჯიში

40. ზევსის მკვებავი თხა

41. ზურგის ტვინის ანთება

42. ქალაქი საფრანგეთში

43.საკურორტო დაბა თეთრიწყაროს რაიონში

44. ჯუჯა ცხენი

45.სინათლე ბავშვის ენაზე

46.პირიდან გადმონ. ნერწყვი

47. პურის ცომისაგან დამზად. გრძ. მილაკები

48. მექსიკის ფულის ერთეული

49.სახის მიმიკის მოშლა

50.ზღვის ყაჩაღი

51. „ჯეინ ეირის“ ავტორი

52. მოკრივე ... ტაისონი

53. მდინარე რუსეთის ჩრდილოეთში

54. ოქროს ურდოს სარდალი

55. ბიბლიური აბრაამის ცოლი

56.რქებდახრილი ხარი

57. საპორტო ქალ. შავ ზღვაზე

58. გიტარის მავთული

59.ქართული ლიტერატურულ-ი პრემია

60. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი

61. ქალაქი სამხრეთ საქართველოში

62. (ძვ.) გამზრდელი, მომვლელი მამაკაცი

63. მიმართვა ფრანგი მეფისადმი

64. ძველეგვიპტელთა წმინდა ფრინველი

65.კუნძული, რომელზეც პირვ. გადაას. ნაპოლეონი

66. პერუს დედაქალაქი

67.ფრანგი ფერმწერი

68. მტაცებელი ფრინველი

69. კავკასიის მთიელთა სოფელი

70. კომიკოსი ... დე ფიუნესი

71.კოჭაობის თამაშში: კოჭი, რომელსაც ესვრიან მწკრივად დასმულ კოჭებს

72. ბალტიისპირეთის ერთ-ერთი ქვეყანა

73. არაბული ფლეიტა

74.ღმერთების მთა ბერძნულ მითოლოგიაში

75. საბჭოთა კავშირის აბრევიატურა

76.დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

77. უდაბნო ჩილეში

78. თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ უხდიან გარიგების პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად

79.პლანეტა იუპიტერის ძველქართული სახელწოდება

80. პავლე მოციქულის თავდაპირველი სახელი

81.დიდი ვიოლინო

82.ჩებურაშკას მეგობარი

83. კოლხი მედეას დედა

84. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა

ბილბორდებს გამვლელთა მზერა ცვლის

რეკლამის სპეციალისტებმა, ორგანიზაცია Women"s Aid-ის დაკვეთით, ორგინალური რამ მოიფიქრეს ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ. სოციალური რეკლამის ავტორებმა სახეების ამოცნობის ტექნოლოგია გამოიყენეს და მოუწოდეს მოსახლეობას, გულგრილნი არ იყვნენ ქალებზე ძალადობის შემთხვევების მიმართ. ბილბორდებზე, რომელიც ლონდონში დგას, ნაცემი სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან გამოსახული. რაც მეტი ადამიანი შეხედავს, მით სწრაფად „ხორცდება“ ჩალურჯებები და იარები მათ სახეზე. ამგვარად, რეკლამის ავტორები გვიზიარებენ აზრს, რომ თუკი საზოგადოება არ იქნება გულგრილი ძალადობის მიმართ, მისი შემთხვევებიც საკმაოდ შემცირდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.